ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

„სასჯელის განსხვავებული მიზნები და მათი მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“

სტუდენტი: საბა ცერცვაძე

თემის ხელმძღვანელი:

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი,

სამართლის დოქტორი *ირინე ხერხეულიძე*

2019

სარჩევი

შემოკლებანი 3

შესავალი 4

თავი 1. სასჯელის ცნება და მიზნები 6

1.1 სასჯელის ცნების ზოგადი მიმოხილვა 6

1.2 სასჯელის მიზნები 6

1.2.1 რესტიტუციული მიზანი 7

1.2.2 პრევენციის მიზანი 7

1.2.4 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი 8

თავი 2. სასჯელის განსხვავებული მიზნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში 9

2.1 უარი სამართლიანობის აღდგენაზე, როგორც სასჯელის მიზანზე. 9

2.2 სასჯელის მიზნების პრიორიტეტულობის განსაზღვრა ნორმის სტრუქტურის მიხედვით 10

თავი 3. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში . 12

3.1 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა არასრულწლოვნებთან მიმართებით 12

3.2 აღზრდა, როგორც დასჯის ალტერნატივა არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის პროცესში. 13

თავი 4. დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 18

4.1. დანაშაულის პრევენციის სახეები 24

4.2 გენერალური პრევენციის დაუშვებლობა არასრულწლოვნებთან მიმართებით 26

4.3 სპეციალური პრევენციისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ურთიერთმიმართება 28

თავი 5. . სასჯელის მიზნების გათვალისწინება არასრულწლოვანთათვის სასჯელის შეფარდების პროცესში. 30

5.1 *არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, როგორც ამომავალი ღირებულება სასჯელის განსაზღვრისას.* 30

5.2 სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა არასრულწლოვანთა პროცესში. 33

თავი 6. არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნების უზრუნველყოფა მისი აღსრულების პროცესში 37

6.1 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა განრიდება-მედიაციის პროცესში 37

6.2 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებისას. 39

6.3 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო პირობების შექმნა საპატიმრო დაწესებულებებში *41*

6.4 სასჯელის აღსრულებისას სასჯელის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად არსებული მიდგომები საზღვარგარეთის ქვეყნებში. *44*

თავი 7. არასრულწლოვნის გათავისუფლებისთვის მზადება, პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანზე ზრუნვა და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. **47**

დასკვნა **49**

ბიბლიოგრაფია **52**

შემოკლებანი

სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
ამკ	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
ა.შ	ასე შემდეგ
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
შეად.	შეადარეთ
ე. ი	ესე იგი
რედ.	გამოცემის რედაქტორი
გვ.	გვერდი
წ.	წელი
ნომ.	ნომერი
უკ.	უკანასკნელი

შესავალი

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული ყოველთვის არსებობდა და ასეა ახლაც, ნებისმიერ საზოგადოებაში. ამ დანაშაულებზე ადეკვატური საპასუხო რეაგირების განხორციელება კი სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობაა, რაც აისახება სათანადო სასჯელებსა და სასჯელის ალტერნატიულ ღონისძიებებში. მსოფლიომ უკვე დიდი ხნის წინ აღიარა, რომ არასრულწლოვანი სრულწლოვნისგან განსხვავებულად უნდა განიხილებოდეს, რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება პირს, რომელსაც ზოგადად სამყაროს, კერძოდ კი, კანონის აღქმა შეზღუდული აქვს ინტელექტუალური მოუმწიფებლობის გამო.[1] საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს მიღებულმა კანონმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 იანვრიდან შევიდა, ქართულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არაერთი სიახლე შემოიტანა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებად უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული კანონის 65-ე მუხლში ჩამოყალიბებული სასჯელის მიზნების ახლებური ფორმულირება, რაზე დაყრდობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრიორიტეტები გაცილებით უფრო მკაფიო გახდა, ამ პრიორიტეტების შესრულება კი დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ნაშრომის მიზანია სრულწლოვნების და არასრულწლოვნების სასჯელის მიზნებს შორის განსხვავებების გამოკვეთა და ამ განსხვავებების მნიშვნელობის განსაზღვრა. აგრეთვე, იმ გზებისა და მიდგომების გამოვლინება, რომლებიც სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ პროცესებში საუკეთესოდ უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ დასახული მიზნების შესრულებას.

კვლევა ეყრდნობა ისტორიულ, შედარებით-სამართლებრივ, ფორმალურ-ლოგიკურ, ანალიტიკურ, სისტემურ და სხვა სამეცნიერო მეთოდებს. კვლევის პროცესში მოხდება აღნიშნულ საკითხზე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტებისა და სხვადასხვა სახელმწიფოების მიდგომების განხილვა.

ნაშრომი შედგება შესავლის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიისა და 7 თავისგან.

პირველ თავში მოკლედ იქნება განხილული სასჯელის ცნება სისხლის სამართლის მეცნიერებაში და მისი მიზნები.

რაც შეეხება მეორე თავს, იგი დაეთმობა უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებულ სასჯელის მიზნებს და გამოიკვეთება ის ელემენტები, რაც განასხვავებს ამკ-ს 65-ე მუხლს სსკ-ს 39-ე მუხლისგან.

მესამე თავში საუბარი იქნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სასჯელის უმთავრესი მიზნის, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. აქვე განხილული იქნება დასჯისა და აღზრდის

[1] მაია ივანიძე, ნონა თოდუა, იოსევ ვარძელაშვილი, თამარ მახარობლიძე, არასრულწლოვანთა კანონდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ, 2017, გვ. 43.

ურთიერთმიმართების საკითხი და მსოფლიოს ისტორიული გამოცდილების საფუძველზე განისაზღვრება ამ მიდგომების როლი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში.

მეოთხე თავში საუბარი იქნება არასრულწლოვანთა მიმართ დანიშნული სასჯელის რიგით მეორე, დანაშაულის პრევენციის მიზანზე. განხილული იქნება დანაშაულის პრევენციის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ასევე ის მიდგომები, რაც ამ მიზნის შესრულებას მაქსიმალურად შესაძლებელს ხდის. ეს თავი ასევე შეეხება გენერალური პრევენციის დასაშვებობა-დაუშვებლობის საკითხს არასრულწლოვნებთან მიმართებით. ამავე თავში იქნება საუბარი ინდივიდუალური სპეციალური პრევენციისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ურთიერთმიმართებაზე.

მეხუთე თავი შეეხება მოსამართლის მიერ არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნის პროცესს. აღნიშნული პროცესი განხილული იქნება სასჯელი მიზნების გათვალისწინებასთან მიმართებით. ამავე ჭრილში იქნება განხილული ამკ-ს უმნიშვნელოვანესი მონაპოვრის, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპისა და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის როლი სასჯელის შერჩევის პროცესში.

ნაშრომის მეექვსე თავი დაეთმობა უშუალოდ სასჯელის აღსრულების პროცესში სასჯელის მიზნების გათვალისწინებას. აქ მიმოხულული იქნება ის ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გაატაროს როგორც საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებისას, ისე სასჯელის ალტერნატიული ღონისძიების, განრიდების (განრიდება-მედიაციის) პროცესში. ამავე თავში მოყვანილი იქნება საზღვარგარეთის ქვეყნების მიდგომები იმავე საკითხთან დაკავშირებით.

მეშვიდე, დასკვნით თავში, განხილული იქნება ის ღონისძიებები, რაც სახელმწიფომ უნდა გაატაროს არასრულწლოვნის გათავისუფლებისთვის მზადებისა და სასჯელის მოხდის შემდეგ მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში.

1. სასჯელის ცნება და მიზნები

1.1 სასჯელის ცნების ზოგადი მიმოხილვა

დანაშაული და სასჯელი - ეს გახლავთ ის ორი სისხლისსამართლებრივი ცნება, რაც უმეტესწილად განსაზღვრავს კიდეც ამ მეცნიერების შინაარსს. გასაკვირია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, განსხვავებით დანაშაულის ცნებისაგან, ვერ ვხვდებით სასჯელის ცნების ფორმულირებას. ამიტომ, საჭირო გახდა ამ ფორმულირების ჩამოყალიბება სამეცნიერო დოქტრინას ეტვირთა.

სასჯელი არის სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ რეაგირების ფორმა[2]. სწორედ სასჯელია ის, რასაც სახელმწიფო უპირისპირებს დანაშაულის ჩამდენ პირს. ადამიანი ჩადის დანაშაულს, რითაც უპირისპირდება საზოგადოებას, სახელმწიფოს, ხოლო სახელმწიფო მის მიმართ იყენებს ღონისძიებას, რომელიც დამნაშავის უფლებებს ზღუდავს[3]. რამდენადაც სასჯელი თავისთავად გულისხმობს უფლებების შეზღუდვას, საუბარიც არ ღირს იმაზე, თუ რამდენი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო ამგვარი ღონისძიების გამოსაყენებლად. სწორედ ამის გამოა, რომ განვითარებულ სახელმწიფოებში, სადაც დემოკრატიის მაღალი ხარისხია, თავად სახელმწიფოს აქვს ექსკლუზიური უფლება გამოიყენოს სასჯელი პირის მიმართ და ეს სასჯელი გამოიყენოს კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

1.2 სასჯელის მიზნები

ადამიანის ყველა ქმედებას აქვს თავის მიზანი. არ არსებობს უმიზნო ქმედება. ამიტომ, სასჯელს, როგორც სახელმწიფო ქმედებას, სამართლის სფეროში უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზნები[4]. სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით[5]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველმა კანონმდებელმა სასჯელის ცნების ფორმულირება არ მოგვცა, სამაგიეროდ, მკაცრად განგვისაზღვრა მისი მიზნები, რომლებიც მოცემულია სსკ-ის 39-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. როგორც კანონიდან ჩანს, სასჯელის შედეგად მიღწეული უნდა იყოს ერთდროულად სამივე მიზანი.

---

[2] მალხაზ ლომსაძე, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2012, გვ. 131.

[3] ოთარ გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, გერმანულ- ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 1/2016 , გვ. 3.

[4] H. Blei, Strafrecht, Allgemeiner Teil, München, 1983, გვ. 372.

[5] მზია ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, N 4.

1.2.1 რესტიტუციული მიზანი

სასჯელი, როგორც სამართლებრივი იძულების ერთ-ერთი სახე, მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას, ანუ დარღვეულის აღდგენაში გამოიხატება. პირველ რიგში, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტამდე, იმ ადგილას, სადაც დანაშაულია ჩადენილი, არსებობდა სამართლიანობა. მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, თუ როგორი ურთიერთობები არსებობდა დანაშაულის ჩადენამდე – სამართლიანი თუ უსამართლო. დანაშაული ყველა შემთხვევაში უსამართლო აქტია. ის შეურაცხყოფს საერთო ნებას, როგორებიცაა: კანონი, საზოგადოება, სახელმწიფო. სწორედ კანონი, რომელიც დარღვეულია მის მიერ აკრძალული ქმედების შედეგად, უნდა შეიცავდეს ამ ქმედების განმახორციელებლის მიმართ ადეკვატურ ზომებს. თუმცა, ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ ის მოსაზრება, რომ სამართლიანობის სრულად აღდგენა შეუძლებელია, რამდენადაც დანაშაული საზოგადოებას აყენებს არა მარტო მატერიალურ, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც, ბუნებრივია, ამგვარი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა მიყენებული ქონებრივი ზიანის ნებაყოფლობით აღდგენაში მდგომარეობს, ვინაიდან ამ დანაშაულით მიყენებული მორალურ-პოლიტიკური ზიანის აღდგენა შეუძლებელია.[6] აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიზანი არ შეიძლება გავუთანაბროთ უბრალოდ სამაგიეროს მიზღვას, ან ზიანის ანაზღაურებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა აღდგენას. იგი უფრო შორს მიდის და კანონის ავტორიტეტის აღდგენას, საზოგადოებრივი მართლშეგნების დაკმაყოფილებას ემსახურება.

1.2.2 პრევენციული მიზანი

დანაშაულის შემაკავებელი, შემაჩერებელი ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი საშუალება მდგომარეობს არა სასჯელის სისასტიკეში, არამედ მის გარდუვალობაში[7]. ბუნებრივია, სასჯელის ეფექტურობას განაპირობებს მისი სიმკაცრე, სასჯელის ბუნება, აღსრულების თავისებურება, მაგრამ სასჯელის გარდუვალობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.[8] ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსშიც სასჯელის მეორე მიზანი დანაშაულის თავიდან აცილებაა. დანაშაულის პრევენცია არის სახელმწიფო და კერძო სექტორების მონდომება დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად (შესამცირებლად) და რეპრესიული ღონისძიებით დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილება.[9] აქ, სავარაუდოდ, კანონმდებელმა გაითვალისწინა პრევენციის ორივე სახე, როგორც გენერალური, ისე სპეციალური, რამდენადაც არ გვაქვს მათ შესახებ განცალკევებული ჩანაწერი. მიუხედავად იმისა, რომ პრევენციის ეს ორი სახე ერთმანეთისგან განსხვავებულია, ისინი მაინც

---

[6] Никифоров Б. С., Наказание и его цели, Сов. Государство и право, М. 1981, с. 9, Похмельник В. В. – Социальная справедливость и уголовная ответственность, Красноярск, 1987, с. 7 62; Ширяев В. Ф. – Наказание в системе мер уголовно-правового воздействия содержание, проблемы совершенствования дисс. канд. юрид. Наук, Ярослав, 2001, გვ. 62.

[7] Ч. Бакериа, О преступлениях и наказаниях, 308-309. 1877.

[8] ირაკლი დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 29.

[9] მორის შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 2010, გვ. 283.

ურთიერთგანპირობებულნი არიან და არცერთ მათგანს არ აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე მეორეს, რადგანაც ისინი, საბოლოო ჯამში, მაინც იმ მიზანს ემსახურებიან, რასაც დანაშაულის თავიდან აცილება ჰქვია.

1.2.3 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი

სასჯელის მომდევნო მიზანი, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, არის დამნაშავის რესოციალიზაცია. როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელმა ჩაანაცვლა ძველი სისხლის სამართლის კოდექსში ფორმულირებული მსჯავრდებულის გამოსწორების მიზანი, რომელიც საბჭოური პერიოდის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენდა და, როგორც სასჯელის მიზანი, წინა პლანზე იყო წამოწეული. მაგ: გამოსწორება – ეს ის მინიმალური ამოცანაა, რომელიც უნდა გადაიჭრას სასჯელის აღსრულებისას[10]. თუმცა არ შეიძლება რესოციალიზაციის მიზანი დავიყვანოთ მხოლოდ ისეთ ზემოქმედებაზე, რომელიც გამორიცხავს მსჯავრდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენას. ასეთ შემთხვევაში რესოციალიზაციის მიზანი დაემსგავსებოდა პრევენციის მიზანს. ამ მიზანში აუცილებლად უნდა მოვიაზროთ მსჯავრდებულში გაჩენილი პასუხისმგებლობის მომენტი, რომელიც მას გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებასთან რეინტეგრაციისა და კანონიერი მოთხოვნების დაცვის მიმართ პოზიტიურ ქვეცნობიერ დამოკიდებულებას გაუჩენს. სსკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, თვით კანონმდებელი გამოსწორების მიზნის აუცილებელ კომპონენტად მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენას მიიჩნევს.

[10] Н.Беляев Цели наказания и средства их достижения в НТУ, Л. 1963, გვ. 46.

2. სასჯელის განსხვავებული მიზნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში

2.1 უარი სამართლიანობის აღდგენაზე, როგორც სასჯელის მიზანზე

სამართლიანობის აღდგენა გახლავთ სასჯელის მიზანი, რომელსაც სამართლის ისტორიის მანძილზე იყენებდნენ როგორც ზრდასრულებთან, ისევე არასრულწლოვნებთან მიმართებით. ამ იდეას, რომელიც უწინ აღიქმებოდა როგორც ''თვალი თვალის წილ'', თავდაპირველად ჰამურაბის კანონთა წიგნში ვხვდებით, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაახლოებით, 1750 წლით თარიღდება. შემდეგ ამ პრინციპმა გადმოინაცვლა იუდაიზმისა და ქრისტიანობის რელიგიურ სამართალში ოდნავ განსხვავებული ფორმით.[11] სამართლიანობის აღდგენის ფარგლებში ხდება პირის დასჯა იმ პროპორციულობით, რა ხარისხის ზიანიც მისმა ქმედებამ გამოიწვია, შესაბამისად ჩნდება განცდა, რომ სასჯელი სამართლიანი და დამსახურებულია. როდესაც საუბარია სამართლიანობის აღდგენაზე, ხშირად მოიაზრებენ მას, როგორც შურისძიების სინონიმს, რამდენადაც ამ დროს ძალისხმევა მიმართულია ქმედების საპასუხოდ, რომელიც წარსულში მოხდა და მას კავშირი არ აქვს მომავალთან.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს მიღებულმა კანონმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, რომელიც ძალაში 2016 წლის 1 იანვრიდან შევიდა, ქართულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არაერთი ნოვაცია შემოიტანა და, რაც მთავარია, მოხდა სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში გაბნეულ რეგულაციათა ერთ დოკუმენტში აკუმულირება. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებად უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული კანონის 65-ე მუხლში ჩამოყალიბებული სასჯელის მიზნების ფორმულირება, რაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოდ, თუმცა რეალურად მნიშვნელოვნად განსხვავდება სრულწლოვნებთან მიმართებით განსაზვრულ სასჯელის მიზნების ფორმულირებისგან. იმისათვის, რომ ნებისმიერი სიახლე სწორად შევაფასოთ, საჭიროა ის ძველთან მიმართებაში შევისწავლოთ[12]. „სასჯელის მიზნებისა და მისი დანიშვნის ისტორია არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მხოლოდ ბრძოლისა და იდეების ცვლილებათა ისტორია, რაც არცთუ იშვიათად ხდება. ასეთმა მიდგომამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ სასჯელის ფაქტობრივი ხასიათი განისაზღვრებოდა და განისაზღვრება მისი ''ფილოსოფიით'', რომელიც იცვლებოდა და იცვლება ადამიანის აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებით, მისი შინაარსისა და მიზნების მეტ-ნაკლებად უფრო ჰუმანური შეხედულებით".[13] ჰუმანურმა მიდგომებმა თანამედროვე საზოგადოებაში ჩამოაყალიბა და განავითარა

---

[11] Why a separate juvenile justice system?, chapter 11, SAGE Publications, 2017, გვ.310.

[12] მაია ივანიძე, სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები , 2017, თსუ, N 1.

[13] მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები (სტატიათა კრებული), გამომცემლობა „მერიდიანი", 2011, გვ. 28.

ის აზრი, რომ არასრულწლოვანთა სასჯელი უნდა განსხვავდებოდის სრულწლოვანთა სასჯელისგან როგორც ზომითა და სიმძიმით, ასევე, უპირველესად მიზნებით. 2016 წლის 1 იანვრამდე, ანუ ამკ-ს ამოქმედებამდე სრულწლოვნებისა და არასრულწლოვნებისთვის სასჯელის დეკლარირებული მიზნები იდენტური იყო. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ კი არასრულწლოვნებთან მიმართებით აღნიშნული საკითხი ახლებურად ყალიბდება - მიზანთა ჩამონათვალში ვეღარ ვხვდებით სამართლიანობის აღდგენას.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ სამართლიანობის აღდგენის შინაარსზე, სადაც აღინიშნა, რომ იგი გაცილებით ღრმა აზრის მატარებელია, ვიდრე სამაგიეროს მიზღვა ან ზიანის ანაზღაურება და ემსახურება კანონის ავტორიტეტის აღდგენას, საზოგადოებრივი მართლშეგნების დაკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, საჭოთა კავშირიდან მოყოლებული, რესტიტუცია სამაგიეროს მიზღვასთან ასოცირდებოდა. „თუ სამაგიეროს მიზღვა უკავშირდება ზნეობრივ გრძნობებს და აკმაყოფილებს ჯანსაღ ზნეობრივ მოთხოვნას, რატომ არ უნდა ვაღიაროთ იგი საბჭოთა სისხლის სამართლის პრინციპად“.[14] ნებისმიერ შემთხვევაში, არასრლუწლოვანთა მიმართ სასჯელის მიზნებიდან სამართლიანობის აღდგენის ამოღება, ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკისკენ გადადგმული გამართლებული ნაბიჯია, რამდენადაც, როდესაც საუბარია არასრულწლოვნებზე, ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. სწორედ ამ სიფრთხილის ფარგლებში მაქსიმალურად უნდა შეფასდეს, თუ რა დევს სასწორის ერთ და მეორე მხარეს. შესაბამისად, თუ ერთ მხარეს საუბარია არასრულწლოვნის სოციალურად შემწყნარებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, რისი ცალკეული შემთხვევების ერთობლიობაც ჯამში საზოგადოების მომავალზე დადებითად იმოქმედებს, უარის თქმა კანონის ავტორიტეტის აღდგენასა და, მით უმეტეს, სამაგიეროს მიზღვაზე, მართლაც ჰუმანური მიდგომაა.

2.2 სასჯელის მიზნების პრიორიტეტულობის განსაზღვრა ნორმის სტრუქტურის მიხედვით.

ამკ-ს 65-ე მუხლის წაკითხვისას, გარდა იმისა, რომ იქ სამართლიანობის აღდგენაზე არაფერი წერია, თვალში გვხვდება ისიც, რომ სასჯელის დარჩენილი ორი მიზანი განსხვავებულადაა დალაგებული, ვიდრე სრულწლოვნების შემთხვევაში. არასრულწლოვნების შემთხვევაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია პირველ რიგში წერია, შემდეგ კი ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მაშინ როცა სრულწლოვნებთან თავდაპირველად ჩვენ მიერ უკვე განხილულ სამართლიანობის აღდგენას ვხვდებით, შემდეგ პრევენციულ მიზანს და მხოლოდ ბოლოს - რესოციალიზაციას. მიზნების ამგვარად დალაგება შემთხვევითობა არ უნდა ეს იმას ნიშნავს, რომ არასრულწლოვნის დასჯა არ ემსახურება სამართლიანობის აღდგენას, არამედ უპირველეს მიზანს წარმოადგენს თავად არასრულწლოვნის

[14] ალექსანდრე ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი. თბ., 1960, გვ. 61

რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, ასევე ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ყველაფერი ეს არასრულწლოვნისადმი განსაკუთრებული ზრუნვის საკანონდებლო გამოხატულებაა.[15] ამგვარი მიდგომა ნორმის სტრუქტურის განსაზღვრისას საკმაოდ მიღებული პრაქტიკაა. გავიხსენოთ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნებისმიერი მუხლი, რომელიც მინიმუმ ორი სახის სასჯელს ითვალისწინებს. სასჯელების ჩამონათვალი ყველა შემთხვევაში იწყება ყველაზე მსუბუქიდან და ბოლოს არის მითითებული ყველაზე მძიმე. ეს ერთგვარი მიმანიშნებელია და გამოხატავს კანონმდებლის ნებას, შესაძლებლობის შემთხვევაში დაინიშნოს რაც შეიძლება მსუბუქი სასჯელი. მართალია, ამკ-ს 65-ე მუხლი სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლებისგან შინაარსობრივად სრულიად განსხვავებულია, თუმცა სხვა კუთხით შეგვიძლია გავავლოთ პარალელი და ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ ჰპოვა კანონმდებლის ნებამ ასახვა ამ ნორმის სტრუქტურის შედგენისას. აღნიშნულით კანონდებელმა ხაზი გაუსვა სახელმწიფოებრივ ნებას არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში ისეთი სასჯელის გამოყენების თობაზე, რომელიც არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას უზრუნველყოფს.[16]

[15] ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2018, გვ. 678.

[16] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 125-126.

3. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

3.1 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა არასრულწლოვნებთან მიმართებით.

ამკ-ს 65-ე მუხლში, როგორც უკვე აღინიშნა, სასჯელის მიზნებია ჩამოთვლილი და პირველი ასეთი მიზანი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაა. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი კი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ტერმინს განგვიმარტავს, რომლის მიხედვითაც რესოციალიზაია-რეაბილიტაცია არის არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითრების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

ყოველი ქვეყნის მომავალი სხვა ფაქტორებთან ერთად იმითაც განისაზღვრება, თუ როგორ თაობას ზრდის ის. თუ გადავავლებთ თვალს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, დავინახავთ, რომ ისინი ხშირად არღვევენ კანონს. არასრულწლოვანთა დანაშაული მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითრების გამო საზოგადოების ნორმალური გამოვლინებაა, ანუ თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს კანონის ნორმა დარღვეული.[17] შედეგად, იზრდება სასჯელაღსრულებით კოლონიებში არასრულწლოვან პატიმართა რიცხვი. ეს პატიმრები მომავალში კვლავ თავისუფალი მოქალაქენი გახდებიან, ამიტომ არა მხოლოდ მათი, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესშიც უნდა იყოს, ციხეში ჰუმანური მოპყრობის მეშვეობით, ნორმალურ ცხოვრებასთან პატიმრის დაბრუნების ხელშეწყობა. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების სოციალიზაცია სახელწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს, რადგან მათი მომავალი ქვეყნის მომავალს ქმნის და ამ ადამიანებისთვის კარგი განათლების მიცემით და ახალი ალტერნატივების შეთავაზებით სახელმწიფო არა მხოლოდ თავიდან აიცილებს ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს, არამედ ხელახლა შეიძენს ადამიანებს, რომლებსაც გააჩნიათ პოტენციალი, მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანონ ქვეყანას და საზოგადოების წარმატებულ წევრებად იქცნენ. თავისთავად, გასათვალისწინებელია საზოგადოების ხელშეწყობა მათი სოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, რაც, პირველ რიგში, ასეთი პირებისადმი არსებული უარყოფითი სტერეოტიპების რღვევის საფუძველზე უნდა მოხდეს.

საერთაშორისო საზოგადოება უკვე დიდი ხანია შეთანხმდა, რომ სასჯელის უმთავრესი მიზანი არის არა დამნაშავის დასჯა, არამედ იმაზე ზრუნვა, რომ მოვახერხოთ დამნაშავის რესოციალიზაცია და ხელი შევუწყოთ საზოგადოებაში მის

[17] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 16.

ინტეგრაციას. როგორც გაეროს, ასევე ევროსაბჭოს სტანდარტები პირდაპირ უსვამს ხაზს, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რეაბილიტაციაზე. არასრულწლოვნის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პენიტენციურ სისტემაში. ზოგადად, თავისუფლების აღკვეთა სასჯელის ყველაზე მძიმე ფორმაა და მას, როგორ წესი, უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყენებდნენ. გარდა ამისა, აღსასრულებლად ეს სასჯელი, სხვა სასჯელებისგან განსხვავებით, სახელმწიფოს ყველაზე ძვირი უჯდება. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პატიმარი სახელმწიფოს სრული ზრუნვისა და კონტროლის ქვეშ იმყოფება და სახელმწიფო ვალდებულია მიაწოდოს მას ყველა საჭირო მომსახურება: კვება, სამედიცინო სერვისი და ა.შ. აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ პირის ციხეში მოთავსების მიზანი მხოლოდ მისი იზოლაცია არ უნდა იყოს. ეს ხალხი, უმეტეს შემთხვევაში, საზოგადოებას უბრუნდება და იმაზე ცოტათი უკეთესი მაინც უნდა დაბრუნდეს, ვიდრე ციხეში შესვლამდე იყო. ''თუ მიღწეული იქნება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია, მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენაც გამოირიცხება. შესაბამისად, რესოციალიზაცია არასრულწლოვნის სასჯელის უმთავრეს მიზნად უნდა ჩაითვალოს''.[18]

3.2 აღზრდა, როგორც დასჯის ალტერნატივა არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის პროცესში.

სახელმწიფოების მიერ შექმნილი მართლმსაჯულების სისტემები დაცვასა და რეპრესიას შორის ლავირებს. ზოგმა სახელმწიფომ შექმნა სისტემა, რომელიც ეფუძნება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის დაცვას და მისი სოციალური რეინტეგრაციის ხელშეწყობას, რომელსაც კეთილდღეობის მოდელი ეწოდება. სხვა სახელმწიფოებში კი მოქმედებს არასრულწლოვანთა მარტლმსაჯულების სისტემა, რომელშიც წამყვანი ხაზია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის დასჯა და მას რეპრესიული მოდელი ეწოდება.[19]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს №1გ/178-15 განჩინებაში, მოსამართლე მოუწოდებს სახელმწიფო მართლმსაჯულების ორგანოებს (სასამართლოს და პროკურატურას), პოზიტიური როლი ითამაშონ არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდისა და მათი რესოციალიზაციის საკითხში.[20] მართალია, აღნიშნული მსჯელობა ეხებოდა აღკვეთის ღონისძიების შერჩევას არასრულწლოვან ბრალდებულთან მიმართებით, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ყურადსაღებია ის რეკომენდაცია, რომელიც საქმის განმხილველმა მოსამართლემ გასცა თავის განჩინებაში და იგი შეგვიძლია ერთგვარ პრინციპად ვაქციოთ.

---

[18] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 191.

[19] ნევენა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, იაპ ე. დოეკი, ჟან ცერმატენი, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სასამართლოში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, გვ. 347.

[20] მორის შალიკაშვილი , არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2/2016.

განვითარებული სახელმწიფოები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ იმისკენ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მაქსიმალურად შემცირებულიყო დასჯის ელემენტი და სისტემა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების აღზრდაზე ორიენტირებულიყო. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ხანია საუბარია იმაზე, თუ რა არის არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის არსი - აღზრდა თუ დასჯა. იქაური არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას უარი არ უთქვამს დასჯის ელემენტზე. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებამ თავის თავში უნდა მოახდინოს დასჯისა და აღზრდის ელემენტების სინთეზი, თუმცა მთავარი აქცენტი, სწორედ აღზრდაზე უნდა გაკეთდეს.[21] გერმანიის სისხლის სამართლის საქმეების უზენაესმა სასამართლომ პირდაპირ მიუთითა არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში აღზრდის უპირატესობაზე.[22]

ამ თემაზე დისკუსიები ყოფილა ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემის ქვეყნებშიც. 2013 წელს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა, ტომას ჰამარბერგმა, წერილით მიმართა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას, სადაც აღნიშნავდა, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, რომელსაც გაერთიანებულმა სამეფომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მიაღწია, ეს სისტემა კვლავ რჩებოდა ზედმეტად სადამსჯელო ხასიათის მქონედ. წერილი შეიცავდა მოწოდებას, მეტი აქცენტი განხორციელებულიყო არასრულწლოვანთა ხელახალ აღზრდაზე.[23]

აღნიშნული საკითხები არც ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაა უცხო, სადაც, მოგეხსენებათ, ფედერალურ კანონმდებლობასთან ერთად თითოეულ შტატს საკუთარი კანონდებლობა აქვს და სწორედ ამ კანონმდებლობის ფარგლებში ექცევა არასწრულლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკაც. აშშ-ს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ყველაზე დიდი ისტორია და, ალბათ, ყველაზე დიდი გამოცდილებაც აქვს. სწორედ აშშ-ში, ილინოისის შტატში, დაფუძნდა მსოფლიოში პირველი არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლო. ეს ამბავი 1899 წელს მოხდა და მაშინ სასამართლოს დეკლარირებული დანიშნულება იყო კანონში კონფლიქტთან მყოფი ახალგაზრდების რეაბილიტაციაზე ზრუნვა. მიუხედავად ასეთი წარსულისა და დასაფასებელი მიზნებისა, აქ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ვითარება უარესობისკენ შეიცვალა, თუ არ ჩავთვლით შტატების მცირე რაოდენობას, აშშ-ში თუნდაც ხუთი წლის წინ საკმაოდ მძიმე სიტუაცია იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში და ადამიანის უფლებათა აქტივისტები ცალსახად მიუთითებდნენ ამ სისტემის ზედმეტად სადამსჯელო ხასიათზე.

---

[21] Bernd Heinrich/Irine Kherkheulidze, Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems, 12/2014, გვ. 614,

[22] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 127.

[23] Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights, in releasing a letter addressed to the UK Lord Chancellor and Secretary of State for Justice, Kenneth Clarke - Strasbourg, 15/03/2012.

ყველაფერერი 70-იან წლებში დაიწყო, როდესაც არასრულწლოვანთა დანაშაულების რიცხვის ზრდის ფონზე ჩამოყალიბდა აზრი, რომ იმ დროისთვის მოქმედი სამართლის სისტემა ვერ უმკლავდებოდა დანაშაულობის ზრდით წარმოშობილ გამოწვევებს, საჭიროებდა განახლებას და არასრულწლოვან დანაშაულის ჩამდენ პირებთან გაცილებით ხისტ მიდგომას.[24] ამ დროს საფუძველი ჩაეყარა (არასრულწლოვან) სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის ალტერნატიულ მოდელს, 1980-იან წლებში წამყვან მიმართულებად იქცა მოძრაობა ''უკან მართლმსაჯულებისკენ'', რომელიც სისხლის სამართლის კლასიკური პრინციპებით ხელმძღვანელობდა.[25] როგორც ჩანს, ამ აზრმა იმხანად გაიმარჯვა და დაიწყო ხისტი პოლიტიკის საკმაოდ გრძელვადიანი ეპოქა. შედეგად კი, 2015 წლის მონაცემებით, 300 ათასი არასრულწლოვანი იხდიდა სასჯელს ზრდასრულთა საპატიმრო დაწესებულებებში და, ამასთანავე, ყოველწლიურად 250 ათასი არასწრულწლოვნის საქმე იყო გადამისამართბული სრულწლოვანთა სასამართლოებში. ეს უკანასკნელი განპირობებულია იმით, რომ გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში, როდესაც არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ ხისტი პოლიტიკა ყველაზე მეტად იყო აქტუალური, 40-მდე შტატმა მიიღო საკანონმდებლო ცვილება, რამაც გაამარტივა არასრულწლოვანთა საქმეების სრულწლოვანთა სასამართლოში გადამისამართების პროცედურა. ამ საკანონმდებლო ცვლილებებს თავიდანვე ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა, რადგანაც იგი მიმართული იყო არაერთი კვლევის ცალსახა შედეგების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვითაც, სასჯელთა გამკაცრება აბსოლუტურად ვერ უზრუნველყოფდა დანაშაულობის შემცირებას. ფლორიდაში, ნიუ იორკსა და ნიუ ჯერსიში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ გაცილებით მაღალია ალბათობა იმისა, რომ ზრდასრულთა სასამართლოში გასამართლებულმა არასრულწლოვანმა ჩაიდინოს განმეორებითი დანაშაული, ვიდრე იმ არასრულწლოვანმა, რომლის საქმეც ბოლომდე სპეციალიზებულმა სასამართლომ განიხილა. ამასთანავე, ზრდასრულთა სასამართლოში გასამართლებული პირების მიერ ჩადენილი ხელახალი დანაშაული, როგორც წესი, უფრო მძიმე ხასიათის იყო ხოლმე.[26]

ერთ-ერთი პირველი შტატი, რომელმაც იმ პერიოდში საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებულ რეაბილიტიაციის მოდელზე უარი თქვა და მკაცრ პასუხისმგებლობასა და დასჯაზე გააკეთა აქცენტი, ვაშინგტონი გახლდათ. მათ ჯერ კიდევ 1977 წელს, კლავდა- კვლავ დანაშაულობის ზრდის ბანალური მიზეზით გამოაცხადეს, რომ მოქმედი სისტემა ვერ უმკლავდებოდა გამოწვევებს და უფრო მკაცრი მიდგომა იყო საჭირო.[27] მეორე მხრივ კი, ამ ცვლილების მომხრეები საკუთარი პოზიციის დადებით მხარეებზე საუბრობდნენ: 1. მუდმივად მზარდი

[24] U. L. Rev. 1091, Rehabilitation vs. Punishment: A Comparative Analysis of the Juvenile Justice Systems in Massachusetts and New York, 1987.

[25] ვაიკუნდი უ., მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2013, ლექცია 2.

[26] Michael Finley And Marc Schindler, Punitive Juvenile Justice Policies and the Impact on Minority youth, Vol 63, No. 2, გვ.11.

[27] Jeffrey K. Day, Juvenile Justice in Washington: A Punitive System in Need of Rehabilitation, გვ.399.

ხარჯების შემცირება, რომელიც მიედინებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში; 2. არასრულწლოვანთა დანაშაულობის შემცირება; 3.რეაბილიტაციის პროგრამის გაუქმება, რომელმაც თავის მიზანს ვერ მიაღწია; 4. სასჯელთა უთანასწორობის აღმოფხვრა, რომლის ფარგლებშიც არსებობდა ალბათობა, შედარებით მძიმე დანაშაულის ჩამდენს შედარებით მსუბუქი სასჯელი მიეღო.[28] საინტერესოა, რა მოიტანა ამ ცვლილებამ რეალურად და აღმოიფხვრა თუ არა ის პრობლემები, რომელთა გადასაჭრელადაც იქნა მიღბული აღნიშნული ცვლილება. 15- წლიანი ხისტი პოლიტიკის ფარგლებში ვაშინგტონში არც ისე საამაყო შედეგები მიიღეს: არასრულწლოვანთა დაპატიმრების მაჩვენებელი გაიზარდა. გაიზარდა მათ მიერ ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულთა რიცხვი და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რეციდივის შემთხვევები. ამ ყველაფერს ემატებოდა ისიც, რომ ვაშინგტონის შტატი დანაშაულის სიმრავლის მხრივ ქვეყნის მასშტაბით მოწინავეთა რიგებში მოექცა.

ფაქტია, რომ ვაშინგტონში ჩატარებულმა რეფორმამ მისი ინიციატორების მოლოდინები ვერ გაამართლა და მიზნებიც მიუღწეველი დარჩა. თუმცა ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, რომელია სწორი გზა? ეს კითხვა სავარაუდო პასუხთა სიმცირეს არ უჩივის, თუმცა ერთი კი ფაქტია, სწორ გზაში აუცილებლად უნდა მოიძებნოს ადგილი აღზრდისა და ზრუნვისათვის. ეს მოსაზრება რომ ცარიელ სიტყვებად არ დარჩეს, შეგვიძლია აშშ-ს სხვა შტატების მაგალითებიც მოვიყვანოთ, რომლებმაც არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის განსხვავებული, ნაკლებად პოპულარული გზა აირჩიეს. სამხრეთ დაკოტის შტატში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა 2014 წელს გატარდა. იმ დროისათვის სამხრეთ დაკოტა მთელს ქვეყანაში შტატებს შორის მეორე ადგილზე იყო არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის მაჩვენებლით და საშუალო მაჩვენებელს სამჯერ აღემატებოდა. გასაკვირი ისაა, რომ თავისუფლებააღკვეთილთა მხოლოდ 1/3 იხდიდა სასჯელს ძალადობრივი დანაშულისთვის. აღნიშნული რეფორმის შემდეგ აქცენტი გაკეთდა არა არასრულწლოვანთა დასჯაზე, არამედ მათ მიმართ სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროცედურების განხორციელებაზე. 4 წლის თავზე ამ შტატში შესაშური შედეგი მიიღეს. 56 %-ით შემცირდა არასრულწლოვანთა მიერ პირველადი დანაშაულის ჩადენის სტატისტიკა. დანაშაულის რეციდივის სტატისტიკაში კი ერთბაშად 66 %-იანი ვარდნაა.[29]

გარდა იმისა, რომ არასრულწლოვანთა მიმართ აღზრდაზე დაფუძნებული მიდგომა გაცილებით ჰუმანური და ადამიანურია, იგი ობიექტურადაც უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე დასჯაზე ორიენტირება. სწორედ ამიტომ არის, რომ, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი განვითარებული ქვეყანა იღებს გეზს ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკისკენ, განსაკუთრებით კი - არასრულწლოვანთა

[28] იქვე, გვ.428.
[29] Gov. Dennis Daugaard, Governor of South Dakota, Purpose of juvenile justice system in rehabilitation, Argus Leader, 19 მარტი, 2018.

მართლმსაჯულების მიმართულებით.

4. დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასთან ერთად სასჯელის მეორე მიზნად განსაზღვრულია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. დანაშაულის თავიდან აცილების სინონიმად ყველაზე ხშირად იყენებენ ტერმინს - ''პრევენცია''.

არასწრულწლოვანთა დელიქვენტურობის პრევენციის მნიშვნელობაზე საერთაშორისო საზოგადოება უკვე დიდი ხანია შეთანხმდა. რიადის სახელმძღვანელო რეკომენდაციების პირველივე ნაწილში ხაზგასმულია, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია საზოგადოებაში დანაშაულის თავიდან აცილების განუყოფელი ნაწილია.[30] საქართველოში ამ კუთხით კონკრეტული ნაბიჯები დიდი ხნის განმავლობაში არ იყო გადადგმული. სწორედ ამაზეა საუბარი საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის ბრძანებულებაში, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცებას. აღნიშნული ბრძანებულების შესავალში შეგვიძლია წავიკითხოთ: ''არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად ამისა, ამ დრომდე არ არსებობდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია და დანაშაულის პრევენციის მაკოორდინატებელი ორგანო. ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების აუცილებლობა, სხვადასხვა უწყებაში მოქმედი ცალკეული პროგრამების განვითარებისა და დახვეწის საჭიროება დაედო საფუძვლად წინამდებარე სტრატეგიის შემუშავებას. სტრატეგიის მიზანია ერთიანი პრევენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გატარების გზით არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირება ქვეყანაში, ასევე სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში.''[31] ამის შემდეგ კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტში აღიბეჭდა აღნიშნული საკითხების პრიორიტეტულობა. საუბარია 2015 წლის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიაზე, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობის მიზანია შექმნას და განამტკიცოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას, ბავშვთა უფლებების და საუკეთესო ინტერესების სათანადო დაცვას, მათ კეთილდღეობასა და განვითარებას, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას.[32] ამის შემდეგ კი ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და ყოველწლიურად დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვნებში სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელდება.

---

[30] United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines), I. Fundamental principles, 1.

[31] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 235, 2012 წლის 22 მარტი, თბ.

[32] 2015 წლის სისხლის სამართლის მაღლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია, გვ. 71.

არასრულწლოვანთა დანაშაული რთული ფენომენია, მას მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის მხრიდან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ერთიან ძალისხმევას.[33] საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრევენციული პოლიტიკა უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა წარმატებულ რესოციალიზაციას და ემსახურება მთელი საზოგადოების უსაფრთხოებას. ამასთან, ამ პოლიტიკის ეფექტურობის შეფასება და, შესაბამისად, გამართლებული და წარმატებული ინტერვენციის განხორციელება, არსებული პრევენციული პროგრამების შეფასებასა და ანალიტიკურ კვლევას საჭიროებს.[34] პრევენციულ ინტერვენციას აქვს უნარი უზრუნველყოს მოზარდში დელიქვენტური ხასიათის გამოვლინების შეჩერება ან მისი ხარისხის შემცირება.[35] სწორედ ამიტომ არის დანაშაულის პრევენციის საკითხი ერთნაირად რელევანტური როგორც თეორიტიკოსი, ისე პრაქტიკოსი იურისტებისთვის.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ თითოეულ არასრულწლოვანთან მიმართებით პრევენციული მიზნის მისაღწევად შერჩეულ იქნეს ადექვატური ღონისძიებები. შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები დაყოფილია მიზნობრივი ჯგუფისა და პრობლემის განვითრების სტადიის მიხედვით.[36] მაგალითად, აშშ-ის გამოცდილებით, რომელიც აღიარებულია ზოგადადაც, მიუთითებენ პრევენციის სამ დონეზე: პირველადი პრევენცია მიმართულია ფიზიკურ და სოციალურ გარემოში არსებული პირობების მოდიფიცირებისკენ ფართო გაგებით; მეორადი პრევენცია მიმართლია კრიმინოგენულ გარემოებებში მყოფი ინდივიდების ან ჯგუფების ადრეულ იდენტიფიკაციაზე და მათ ცხოვრებასა და არსებობაში ადრეულ ინტერვენციაზე; მესამე დონის პრევენცია კი მიმართულია რეციდივის თავიდან აცილებაზე.[37] აღსანიშნავია, რომ პრევენციის ღონისძიებათა სამდონიანი სისტემა საქართველოშიც მოქმედებს, რასაც საფუძვლად ჩვენ მიერ უკვე ნახსენები პრეზიდენტის 2012 წლის ბრძანებულება დაედო[38]. ამ ბრძანებულებას კი შედეგად მოჰყვა დანაშაულის პრევენციის ცენტრის შექმნა და დეკლარირებული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულ ღონისძიებათა რეალობაში განხორციელების ხელშეწყობა.

---

[33] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა , 2016, გვ. 197.

[34] ირინე ხერხეულიძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ.35.

[35] Dena Carson, Delinquency and Crime Prevention, Oxford Bibliographies, 28 თებერვალი, 2017.

[36] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა , 2016, გვ. 197.

[37] ირინე ხერხეულიძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები 2017, N1, გვ.35.

[38] ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, კვლევის ანგარიში, 2014, გვ.10.

როდესაც ვსაუბრობთ პრევენციულ ღონისძიებათა დონეებზე და მათ მნიშვნელობაზე, რთულია პრიორიტეტულობის მხრივ რომელიმე მათგანი გამოვყოთ, რამდენადაც ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. რაც უფრო წარმატებით იქნება შერჩეული ღონისძიების სახე ადრეულ სტადიაზე, მით უფრო ნაკლები არასრულწლოვნის მიმართ გახდება საჭირო მესამე დონის პრევენციული ღონისძიებების გამოყენება. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ პირველი დონის პრევენცია უნდა იყოს პრიორიტეტული, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პირველი დონის პრევენციული ღონისძიებები არასრულწლოვანთა განუსაზღვრელი წრის მიმართ ტარდება და შესაბამისად ნაკლები ინტენსიურობით ხასიათდება, ძირითადად შემოიფარგლება უსაფრთხო სკოლისა და ზოგადსაგანმანათლებლო აქტივობების უზრუნველყოფით, შედეგი ვერ იქნება სრულყოფილი. ზოგადად, არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევის სრულიად აღმოფხვრა რომ შეუძლებელია, ეს უდავოა. შესაბამისად, ჩვენ მიერ ნახსენებ სამდონიან სისტემას შედეგად უნდა მოჰყვეს მისი მაქსიმალური მინიმალიზება.

ჩვენ ვისაუბრეთ პრევენციის დონეების თანაბარ მნიშვნელობაზე ზოგადად იუვენალური იუსტიციის ფარგლებში, თუმცა, როდესაც ვეხებით დანაშაულის პრევენციას, როგორც სასჯელის მიზანს, ამ შემთხვევაში პირველი და მეორე დონის პრევენცია უნდა გამოირიცხოს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლში სასჯელის მიზნად მითითებულია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და არა ზოგადად დანაშაულის თავიდან აცილება. ეს ლოგიკურია, რამდენადაც სასჯელი იმ ადამიანს ენიშნება, ვინც უკვე ჩაიდინა დანაშაული და პროფილაქტიკური მიზნებისთვის პირის დასჯა ადამიანთა განვითარების სხვა სტადიაზე დაგვაბრუნებდა. რამდენადაც პირველი დონის პრევენციისას სამიზნე ჯგუფია ყველა არასრულწლოვანი, ხოლო მეორე დონის პრევენციისას კონკრეტული რისკჯგუფები, რომელთაც დანაშაული არ ჩაუდენიათ, ამკ-ს 65-ე მუხლში დაფისქირებული ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი მათ არ ეხებათ.
რა თქმა უნდა, ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენის შემცირების სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს როგორც პირველად, ასევე მეორეულ პრევენციას, მაგრამ ეს ასპექტები სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შემადგენელ ნაწილად მოიაზრება და არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისა.[39]

რადგანაც მესამე დონის პრევენციისას საქმე უკვე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან გვაქვს, ცხადია, მათ მიმართ განხორიელებული მოქმედებისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. აქ უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ ისეთი მეთოდები, რომელთაც ჭეშმარიტად დადებითი შედეგები მოჰყვება და არა პირიქით, უარყოფითად იმოქმედებს არასრულწლოვანზე. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინტერვენციის ისეთი

[39] Головко Л.В., Альтернативы уголовному преследованию в современном праве, სანკტ-პეტერბურგი, 2002, გვ. 178

პროგრამების არსებობა, როგორიცაა საშიში სიმართლე (Scared Straight), შოკური პატიმრობა (Shock Incarceration), საწვრთნელი ბანაკი (Boot Camps). ამ საშუალებებს, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატები მიმართავს.[40]

პროგრამა ''საშიში სიმართლე'' აშშ-ში 1970-იან წლებში დაინერგა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის შემცირების მიზნით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე იყენებდნენ. ამ პროგრამის ფარგლებში ეწყობოდა ვიზიტები, სადაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები ხვდებოდნენ ზრდასრულ პატიმრებს, რათა მთელი დღის განმავლობაში უშუალოდ მსჯავრდებულებისგან მიეღოთ ინფორმაცია იმ შემზარავი რეალობის შესახებ, რაც მათ ციხეში შეიძლებოდა გამოეცადათ.[41] ამ პროგრამის მრავალწლიანი მუშაობის შეფასებისას კვლევებმა აჩვენა, რომ საშიში სიმართლე თავის მიზანს ვერ აღწევდა. იგი იყო სრულიად უშედეგო, უარეს შემთხვევებში კი პირიქით, ამძაფრებდა არასრულწლოვანთა დელიქვენტურ ქცევას. მკვლევარები მოუწოდებდნენ იმ ორგანოებს, რომლებიც ამ მეთოდს იყენებდნენ, გარდაექმნათ იგი იმგვარად, რომ პროგრამას არასრულწლოვნებისთვის ზიანზე მეტი სარგებელი მოეტანა.[42]

''შოკური პატიმრობის'' იდეა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოსაფხიზლებელი ეფექტის გავრცელებაში მდგომარეობს. იმავე იდეის მატარებელია ''საწვრთნელი ბანაკებიც''.[43] ორივე აღნიშნული პროგრამა შესაძლებელია ექვემდებარებოდეს ქალაქის, მხარის, შტატის ან სახელმწიფო იურისდიქციას. ისინი ეწყობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის და სასჯელის ვადა არის უფრო მცირე, ვიდრე იქნებოდა ზრდასრულების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, რეჟიმი არის მკაცრი, სამხედრო დაწესებულებების იდენტური, სადაც ზედამხედველთა მითითებები და ბრძანებები უნდა შესრულდეს ყოველგვარი კითხვების გარეშე.[44] საწვრთნელმა ბანაკებმა, როგორც ტრადიციული პატიმრობის ალტერნატივამ, ამერიკაში პოპულარობა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოიპოვა. მისი მიზანი არასრულწლოვნებში დანაშაულის რეციდივის შემცირება იყო, თუმცა ათწლეულების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები მის მიზნებთან მიმართებით სრულიად არაეფექტური აღმოჩნდა.[45]

---

[40] ირინე ხერხეულიძე , არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017 , N1, გვ.47.

[41] Jeff Slowikowski, Justice Department Discourages to Use of ''Scared Straight'' Programs, Office of Juvenile Justice and Delinquency prevention, მარტი/აპრილი 2011.

[42] Petrosino A, Turpin-Petrosino C, Hollis-Peel ME, Lavenberg JG , ''Scared Straight'' and other juvenile awareness programs for preventing delinquency, 2013, გვ.2.

[43] ირინე ხერხეულიძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 47.

[44] Cherie L. Clark, Dawid W. Aziz, and Doris L McKenzie – Shock Incarceration in New York: Focus on Treatment, National Institute of Justice, გვ.2.

[45] Kübra Gültekin , Sebahattin Gültekin, Is juvenile boot camp policy effective?, Internatinal Journal of Human Sciences, Vulume:9, Issue:1, 2012.

როგორც ვხედავთ, ისეთი გამოცდილებისა და რესურსების მქონე ქვეყანაშიც კი, როგორიც გახლავთ აშშ, არაერთი შეცდომა დაუშვეს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნის მისაღწევად ადექვატური პროგრამებისა და მიდგომების შემუშავებისას. ადვილია იმ პროგრამებისა და მიდგომების შესახებ საუბარი და კრიტიკა, რომლებიც წლების წინ დაინერგა და დადებითი შედეგი ვერ მოგვცა. თუმცა, სად არის გამოსავალი? როგორი მიდგომა იქნებოდა უფრო ეფექტური?

მესამე დონის პრევენციაზე, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, სადაც ეს შესაძლებელია, გამოვიყენოთ მიდგომა ''არავითარი ჩარევა'' და ცხადია, აქ, ასეთ ჩარევაში სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების კონტექსტში განხორციელებული ინტერვენციები იგულისხმება. არ უნდა მივმართოთ ინტერვენციას ფორმალური სამართლებრივი პროცედურების გატარებით იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული არ არის მძიმე და თუ სათანადო და კონსტრუქციული რეაგირება უკვე მოახდინა ოჯახმა, სკოლამ თუ საზოგადოებრივი კონტროლის სხვა არაფორმალურმა ინსტიტუტმა, ან, თუ, სავარაუდოდ, მოახდენენ ისინი ასეთს.[46] აღნიშნული შეხედულება აბსოლუტურად ლოგიკური და არგუმენტებზე დამყარებულია, რამდენადაც, ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ მესამე დონის პრევენციისას განხორციელებული წარუმატებელი ინტერვენციის ღონისძიებები აშშ-ში. და რა გახდა ამ პროგრამებისა და ღონისძიებების წარუმატებლობის საფუძველი? თითოეულ განხილულ შემთხვევაში მიზანი უდავოდ პატივისცემას იმსახურებდა - არასრულწლოვანთა დანაშაულის რეციდივის პრევენცია. ამ მიზნის მიღწევის გზებიც, როგორც ჩანს, მართებულად ჩათვალეს იმ დროისთვის, რადგანაც, ერთი შეხედვით სულაც არ იყო აზრს მოკლებული. თუმცა მიმაჩნია, რომ მთავარი მიზეზი, რის გამოც ამ პროგრამებს უარყოფითი შედეგი მოჰყვა, იყო არასრულწლოვნების ზედმეტი ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან და შესაბამისად, ფორმალურ პროცედურებთან. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს რაც შეიძლება მინიმალური შეხება ჰქონდეს ფორმალურ პროცედურებთან, რა თქმა უნდა, საზოგადოების ინტერესეებთან მიმართების პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით.

საბედნიეროდ, აღნიშნულ პრინციპს განუხრელად იზიარებს ქართული კანონმდებლობაც. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში ვკითხულობთ: ''არასრულწლოვანთა მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს

[46] ირინე ხერხეულიძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 47.

თუ არა განრიდება ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.''

ასევე მნიშნელოვანია ამავე კოდექსის მე-9 მუხლის ჩანაწერიც, რომლის მიხედვით დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თვისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. ამასთან, არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული. მართალია, კანონმდებლმა ნორმის სათაურად შეარჩია ''პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება'', მაგრამ აქ პატიმრობა ფართო გაგებითა გამოყენებული, რაც გულისხმობს სისხლის სამართალწარმოებისას თვისუფლების შემზღუდველ ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა დაკავება, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების შეზღუდვის სასჯელები.[47] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი ყველაზე ნათლად ჩამოყალიბებული პოზიცია მდგომარეობს საერთაშორისო საზოგადოების მიმართ მოწოდებაში იმის თაობაზე, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, თავისუფლების შეზღუდვა მაქსიმალურად იქნეს აცილებული თავიდან, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება, მისი ვადა უნდა შეესატყვისებოდეს უმოკლეს პერიოდს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვის ასაკის შესაბამისი მოპყრობა.[48]

ამ მიმართებით, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ამკ-ს 39-ე მუხლით, მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომამდე განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, განრიდება შეძლება გამოყენებულ იქნეს აქრეთვე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგაც. აღნიშნული მუხლით ''სასამართლო უფლებამოსილია განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ.'' მოსამართლის ჩართვა განრიდების პროცესში მისასალმებელია. არასრულწლოვანს ეძლევა შანსი, იმ შემთხვევაში, თუ პროკურორმა სისხლის სამართლის საქმის განრიდებაზე უარი თვა, ეს განრიდება მოსამართლის მიერ მოხდეს პროკურორის მეშვეობით.[49] როგორც ვხედავთ, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ყველანაირ საფუძველს ქმნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და

[47] თათია ქვრივიშვილი, არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 101.

[48] ვაიკუნდი უ., მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2013, ლექცია 6.

[49] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 95.

სასჯელის გამოყენების ალტერნატიული მექანიზმის, კერძოდ კი, განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისა და ფორმალური მართლმსაჯულების სისტემასთან არასრულწლოვნის კონტაქტის ასაცილებლად.[50] ასეთი ''განრიდება'', ფორმალური საქმისწარმოების გარდა, მიზნად ისახავს სისხლის სამართლის სამართალწარმოების ისეთი უარყოფითი ფაქტორების აცილებასაც, როგორებიცაა ნასამართლობისა და მსჯავრდებულის სამუდამო დამღა.[51]

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს და, საბედნიეროდ, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა სწორედ ამ ხედვას ეფუძნება. აუცილებელია ქვეყანაში ხორციელდებოდეს ეფექტური და სიფრთხილით შერჩეული პირველი და მეორე დონის პრევენციული ინტერვენციები, ხოლო როცა უკვე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან გვაქვს საქმე, საუკეთესო შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მას სახელმწიფო ისე არ მოექცეს, როგორც დამნაშავეს. სისტემა თავისი ფრთხილი და სწორად შერჩეული ჩარევით მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს დაუბრუნოს არასრულწლოვანი საზოგადოებას, როგორც სრულფასოვანი წევრი. მაქსიმალურად აარიდოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების არააუცილებელ ფორმალურ პროცედურებს და მინიმუმამდე დაიყვანოს მასში დელიქვენტური ქცევის გამოვლინების რისკი.

4.1 დანაშაულის პრევენციის სახეები.

სისხლის სამართალში სასჯელი ზემოქმედებს როგორც მსჯავრდებულზე, ასევე სხვა პირებზეც, შესაბამისად, იგი განსაზღვრული ხარისხით ახორციელებს როგორც სპეციალური, ისე ზოგადი პრევენციის მიზანს. სასჯელის ზოგადი და სპეციალური პრევენციის მიზნები გულისხმობს მათ შეგნებულ, გონივრულ და რაციონალურ გამოყენებას. დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევას.[52] ზოგად ანუ გენერალურ პრევენციაზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ერთ-ერთი შეხედულებით, სასჯელის ზოგადპრევენციული მიზანი ხორციელდება "დაე, სხვებს ეშინოდეთ" პრინციპით. თუმცა ასეთი მიდგომა კრიტიკას იმსახურებს. არსებულ ემპირიულ მტკიცებულებებს მივყავართ დასკვნამდე, რომ სასჯელს მხოლოდ მცირედით თუ აქვს დაშინების ეფექტი. ზედმიწევნითი სიზუსტით იმის თქმა, თუ რა დამაშინებელი ეფექტი აქვს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას საკმაოდ რთულია. რისი თქმაც შეიძლება არის ის, რომ არსებობს დიდი ასიმეტრია იმ მოლოდინს შორის, რაც სისტემას დაშინების

[50] ირინე ხერხეულიძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 48.

[51] ვაიკუნდი უ., მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2013, ლექცია 4.

[52] არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 30.

მიმართ აქვს და იმას შორის, თუ რა შედეგები აქვს მას რეალურად.[53] არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, სასჯელის პრევენციული ზემოქმედება არ შეიძლება დავიყვანოთ დაუმორჩილებელი პირების მიმართ დამაშინებელ ზემოქმედებაზე. დანაშაულის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების წევრთა აღზრდა მათში პოზიტიური მორალის, რწმენისა და შეხედულებების გამომუშავების მიმართულებით. გენერალური პრევენციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი სასჯელი, რომელიც სამართლიანად რეაგირებს ამორალურ და დასჯად ქცევებზე, ამტკიცებს საზოგადოებაში აღიარებულ თანაცხოვრების ნორმათა მოქმედებას და ამით საზოგადოების მართლშეგნებას. ნებისმიერი დასჯა, თავისი სისხლისსამართლებრივი იძულების სფეროში, მომავალში ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი სასჯელით იმუქრება. სასჯელის ზოგადი პრევენციის მიზანს ეხებოდა ცნობილი კრიმინალისტი ***ჩ. ბეკარიაც***, რომელიც წერდა: ''დანაშაულის შემაკავებელი, შემაჩერებელი ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი საშუალება მდგომარეობს არა სასჯელის სისასტიკეში, არამედ მის გარდუვალობაში''.[54] როგორც ვხედავთ, იტალიელი სწავლული იურისტი სასჯელის ზოგადპრევენციულ ზემოქმედებას მის სისასტიკეში კი არ ეძებდა, არამედ გარდუვალობაში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ზოგადი პრევენციის მიზანი სასჯელით დაშინების გარდა ფლობს უდიდეს მორალურ ეფექტს და ის მიღწეულია მაშინ, როცა არაკანონმორჩილი მოქალაქეები აღიქვამენ იმ ფაქტს, რომ ყოველ ჩადენილ დანაშაულს გარდაუვლად მოჰყვება სასჯელი და ამის შედეგად შეწყვეტენ თავიანთ საქმიანობას, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზეა ორიენტირებული. სასჯელის გენერალური პრევენციის თეორიის ადრესატია მთელი საზოგადოება. აქ გამოიყოფა ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები. სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების აბსოლუტურად ყველა წარმომადგენელზე (არა მარტო პოტენციურ დამნაშავეებზე), ხოლო ნეგატიური გენერალური პრევენცია - მხოლოდ დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილ ადამიანებზე. პოტენციური დამნაშავეები შეიძლება ვუწოდოთ საზოგადოების მერყევ ელემენტებს, რომელთაც მხოლოდ სასჯელის შიში აკავებთ. რომ არა სასჯელის მუქარა, ისინი ჩაიდენდნენ დანაშაულს (დიდი ალბათობით). ამ შემთხვევაში სასჯელი მნიშვნელოვან შემაკავებელ საშუალებას წარმოადგენს. საბედნიეროდ, არსებობს საზოგადოების მეორე კატეგორიაც - კანონმორჩილი ადამიანების ჯგუფი, - ამ ჯგუფს აყალიბებენ ის პიროვნებები, რომლებიც არიან ბუნებით კანონმორჩილნი და მუდამ პატივისცემის გრძნობით განსჭვავლულნი მოქმედი სამართლისადმი. მსგავსი დამოკიდებულების მქონე სუბიექტები არ საჭიროებენ დაშინებას. მაშასადამე, პოზიტიური გენერალური პრევენცია (რომელიც დაშინების მექანიზმს გვთავაზობს, როგორც პოტენციური დამნაშავეების, ისე

[53] ტორე ბიორგო, დანაშაულის პრევენცია ყოვლისმომცველი მიდგომა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2019, გვ.51.

[54] ჩ. ბეკარია, ''დანაშაულისა და სასჯელისთვის'', ი.ხუციშვილის თარგმანი იტალიურიდან, თბილისი, 2003, გვ.197.

კანონმორჩილი ადამიანების მიმართ), ცალმხრივად უფუნქციოა, ვინაიდან, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დაშინება ვერ იქნება მიზანშეწონილი, ქმედითი და ეფექტური საშუალება კანონმორჩილ ადამიანებთან ურთიერთობის დროს. უბრალოდ, არ არსებობს აღნიშნული მეთოდის გამოყენების არანაირი ლეგიტიმური საფუძველი. თეორიულადაც კი, ისინი სასჯელის მუქარით არ შეშინდებიან. სასჯელი მათ არ აშინებთ, არამედ მათ მიერ აღიქმება, როგორც სოციალური მშვიდობის გარანტი (რომელიც იმსახურებს სათანადოდ დაფასებას). მსგავსი დამოკიდებულების გამოჩენა განპირობებულია მათი მსოფლმხედველობით, პიროვნული თვალსაწიერით, მართლშეგნებით, მოქალაქეობრივი ვალდებულების სწორად შემეცნებით.

დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის ფართო კონცეფციაში მოქცეულია (გარდა ზოგადი პრევენციისა) დანაშაულის სპეციალური პრევენციის თეორიაც. სასჯელის სპეციალური პრევენციის თეორია უკავშირდება ფრანც ფონ ლისტის სახელს. იგი სასჯელის გამოყენებას ასაბუთებს გამოსწორებისა და დამნაშავის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების პოზიციიდან.[55] გენერალური პრევენციისგან განსხვავებით, რომელიც ხორციელდება კანონის გამოქვეყნების მომენტიდან, სპეციალური პრევენცია სასჯელის დანიშვნის მომენტიდან იღებს სათავეს. სასჯელის სპეციალური პრევენცია გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის მეორედ ჩადენის აცილებას, რომელიც მიიღწევა იმით, რომ პირს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და ხარისხის შესაბამისი სასჯელის შეფარდებით შესაძლებლობა ესპობა ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მაგალითად, თუ პირს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, ბუნებრივია, იგი საზოგადოებისგან იზოლირებულია და ამით აცილებულია მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.[56]

4.2 გენერალური პრევენციის დაუშვებლობა არასრულწლოვნებთან მიმართებით.

სისხლის სამართალში თითქმის ერთხმად არის აღიარებული, რომ გენერალური პრევენცია არასრულწლოვანთა თვისუფლების აღკვეთის მიზანი არ შეიძლება იყოს, თუმცა ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. დოგმატიკოსთა ერთი ნაწილი და გერმანიის ფედერალური სასამართლო პოზიტიურ და ნეგატიურ გენერალურ პრევენციას არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთის მიზნად არ მიიჩნევს, დოგმატიკოსთა ნაწილი კი პოზიტიურ გენერალურ პრევენციას არასრულწლოვნის სასჯელის მიზნად აღიარებს და სასჯელის მიზნებიდან მხოლოდ ნეგატიურ პრევენციას (ანუ საზოგადოების დაშინებას არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნით) გამორიცხავს.[57]

---

[55] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2013, გვ. 355.
[56] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 75.
[57] იქვე, გვ. 198.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში დანაშაულის პრევენციის მთავარ საშუალებად მიიჩნევა იმ საფუძვლების გაუვნებელყოფა, რომლებსაც ეფუძნება დანაშაულებრივი ქცევა და არა უშუალოდ პირდაპირი ზემოქმედება დანაშაულებრივ ქცევაზე.[58] გამომდინარე აქედან, იკვეთება პრევენციული ინტერვენციების ინდივიდუალიზაციის უპირატესობა. არასრულწლოვანთა მიმართებით განსაკუთრებული სიფრთხილის აუცილებლობის გამო კი მართებული ჩაითვლება, თუ გენერალურ პრევენციაზე უარი იქნება ნათქვამი, რადგანაც იგი უყურადღებოდ ტოვებს დამნაშავის ინდივიდუალურ პიროვნებას.[59] პრევენციულ ღონისძიებათა მიზანი უნდა იყოს მოზარდი დამნაშავის რესოციალიზაცია, რათა მან სასჯელის მოხდის ან მის მიმართ განხორციელებული სხვა ალტერნატიული სისხლისსამართლებრივი ღონისძიების დასრულების შემდეგ აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი. სწორედ ეს გახლავთ პოზიტიური ინდივიდუალური პრევენციის არსი, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით ვერც ნეგატიურ ინდივიდუალურ პრევენციას. საერთაშორისო სამართალში არაინსტიტუციურ მიდგომებს ინსტიტუციურ მიდგომებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება, რაც გულისხმობს, რომ ბავშვებთან თვისუფლების აღკვეთა აკრძალული არ არის, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ უკიდურეს ღონისძიებად გამოიყენება.[60] როდესაც საჭირო ხდება ამგვარი უკიდურესი ღონისძიების გამოყენება, სწორედ მაშინ ირთვება ნეგატიური ინდივიდუალური პრევენციის მექანიზმი, რამდენადაც დამნაშავე არასრულწლოვნის იზოლაციის გზით, სასჯელის ვადის მოხდის განმავლობაში აღკვეთილია მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. პროფესორი ***იოსებ ვარძელაშვილი*** მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის მიმართ საპატიმრო სასჯელის შეფარდებისას, დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი ცდება სპეციალური პრევენციის ფარგლებს და მასში იგულისხმება ზოგადი, ანუ გენერალური პრევენციაც.[61] როდესაც მოსამართლე საპატიმრო სასჯელს უნიშნავს ერთ არასრულწლოვანს, ეს მართლაც შესაძლებელია სიგნალი იყოს სხვა არასრულწლოვნებისათვის, რათა მათ თავი შეიკავონ კანონის დარღვევისგან, თუმცა რამდენად შესაძლებელია ასეთმა მიდგომამ დადებითად იმოქმედოს გრძელვადიან პერსპექტივაში?

როდესაც ვსაუბრობთ ადამიანების დამოკიდებულებაზე სისხლისსამართლებრივი სასჯელებისა და მათი დანიშვნის მიზნების მიმართ, საკითხი საკმაოდ რთული ხდება. ცხადია, ადმაიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამგვარი საკითხების მიმართ მათი დამოკიდებულებაც განსხვავებულია. ამ ყველაფერს ხაზს უსვამს პროფესორი ვარძელაშვილი და აღნიშნავს, რომ პოზიტიური გენერალური

[58] INTERNATIONAL JOURNAL OF HUMANITIES AND CULTURAL STUDIES ISSN 2356-5926, Issue 2016, Special august, გვ.438

[59] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2010, გვ. 289.

[60] თათია ქვრივიშვილი, არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 100.

[61] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა , 2016, გვ. 198.

პრევენცია მოქმედებს ყველა არასრულწლოვნის მიმართ, რათა ისინი განიმსჭვალონ კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო ნეგატიური გენერალური პრევენცია მოქმედებს არა ყველა არასრულწლოვნის მიმართ, არამედ მხოლოდ იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებიც მიდრეკილნი არიან დანაშაულის ჩადენისკენ. ხოლო ის არასრულწლოვნები, რომლებიც საზოგადოების მერყევ ელემენტებს არ წარმოადგენენ, მათზე სასჯელი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს, ისინი ისედაც არ ჩაიდენენ დანაშაულს, აღნიშნული ეწინააღმდეგება მათ ბუნებას.[62] როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანები განსხვავებულები არიან და ისინი სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ ქმედებაზე წინასწარ განსაზღვრული სასჯელის არსს სხვადასხვანაირად აღიქვამენ, შესაბამისად, ჩამოყალიბებული მოსაზრება სავსებით ლოგიკურია. ლოგიკურია ისიც, რომ სასჯელის დამაშინებელმა ეფექტმა, მეტწილად, სწორედ დანაშაულისკენ მიდრეკილ არასრულწლოვნებზე უნდა იმოქმედოს. თუმცა აქ კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს - როგორი მიდგომაა სწორი დანაშაულისკენ მიდრეკილ არასრულწლოვნებთან, რათა მათი კანონსაწინააღმდეგო აზრები სისრულეში არ იქნეს მოყვანილი. უფრო ეფექტურია დაშინება თუ იმ მიზეზების გამოვლენა, რამაც მათში დანაშაულის მიმართ მიდრეკილება გააჩინა და შემდეგ ამ მიზეზებთან ბრძოლა. დაშინების მიდგომამ, შესაძლებელია, დროის მოკლე მონაკვეთში უკეთესი შედეგი გამოიღოს, თუმცა, როდესაც საუბარია იდეებსა და ფასეულობებზე დამყარებულ, მაღალზნეობრივი სოციუმის მშენებლობაზე, ცხადია მეორე ალტერნატივა უკეთესია. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია, მოსალოდნელი სანქციის შიშმა ობიექტურად მართლაც იმოქმედოს გარკვეული რისკ-ჯგუფების წევრებზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სანქციის მიზანი არასრულწლოვნების დაშინებაა. ეს შეიძლება ჩავთვალოთ სასჯელის ერთ-ერთ თანამდევ შედეგად. ასეთია კანონდებლის ნებაც, რამდენადაც ამკ-ს 65-ე მუხლში სასჯელის მიზნად მოცემულია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და არა ზოგადად, დანაშაულის თავიდან აცილება. სიტყვა ''ახალი'' გულისხმობს სწორედ იმას, რომ სასჯელის ეს მიზანი მიმართულია იმ პირთა მიმართ, რომელთაც უკვე ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება და იგი ვერ გავრცელდება ყველა არასრულწლოვანზე. შესაბამისად, სასჯელის გენერალური პრევენციის მიზნის ადგილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მეტად საეჭვოა.

4.3 სპეციალური პრევენციისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ურთიერთმიმართება.

როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში როდესაც ვსაუბრობთ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე, როგორც სასჯელის ერთ-ერთ მიზანზე, აქ არ უნდა ვიგულისხმოთ გენერალური პრევენცია და აქცენტი უნდა გაკეთდეს სპეციალურ პრევენციაზე. სპეციალური პრევენციაც, თავის მხრივ, არსებობს ორი სახის, პოზიტიური და ნეგატიური. გენერალური პრევენციის

[62] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა , 2016, გვ. 198-199.

განხილვისას დეტალურად ვისაუბრეთ ნეგატიურ სპეციალურ პრევენციაზეც, ახლა კი პოზიტიური სპეციალური პრევენცია და მისი მახასიათებლებიც განვიხილოთ. ამგვარ პრევენციულ ღონისძიებათა მიზანი უნდა იყოს მოზარდი დამნაშავის რესოციალიზაციის გზით საზოგადოებაში დაბრუნება,[63] რათა მან სასჯელის მოხდის ან მის მიმართ განხორციელებული სხვა ალტერნატიული სისხლისსამართლებრივი ღონისძიების დასრულების შემდეგ აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი. როგორც ვხედავთ, პოზიტიურ სპეციალურ პრევენციაზე საუბრისას ხაზს ვუსვამთ ისევ და ისევ რესოციალიზაციას, რომელიც, მოგეხსენებათ, სასჯელის მეორე მიზნად გვევლინება ამკ-ს 65-ე მუხლში. ამიტომ, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა სახის ურთიერთმიმართება არსებობს პოზიტიურ სპეციალურ პრევენციასა და რესოციალიზაციას შორის. არასრულწლოვნის პოზიტიური სპეციალური პრევენცია უნდა გაიმიჯნოს არასრულწლოვნის რესოციალიზაციისგან. რესოციალიზაცია მოიცავს სპეციალურ პრევენციას, ხოლო სპეციალური პრევენცია რესოციალიზაციას არ ნიშნავს.[64] არასრულწლოვნის საზოგადოებისგან იზოლაცია უნდა ჩაითვალოს ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მოკლევადიან პერსპექტივად, გრძელვადიანი პერსპექტივით აუცილებელია სწორედ არასრულწლოვანი დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული.[65] თუ არასრულწლოვნის რესოციალიზაციის პროცესი წარმატებით დასრულდება, ეს თავისთვად გულისხმობს, რომ იგი ახალ დანაშაულს აღარ ჩაიდენს, შესაბამისად მიღწეული იქნება პოზიტიური სპეციალური პრევენციის მიზანიც. თუმცა ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი აღარ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, სულაც არ ნიშნავს ავტომატურად იმას, რომ მისი რესოციალიზაციის მიზანი მიღწეულია.

[63] მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2010, გვ. 288,

[64] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 200.

[65] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 126.

5. სასჯელის მიზნების გათვალისწინება არასრულწლოვანთათვის სასჯელის შეფარდების პროცესში.

მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს, რომ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, იგი შეარჩევს შესაბამისი სახისა და ზომის სასჯელს. მოგეხსენებათ, სისხლის სამართალი არის მეცნიერება დანაშაულის და სასჯელის შესახებ. შესაბამისად, სასჯელის დანიშვნა სასამართლოს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ, როდესაც არასრულოვანი ჩართულია სისხლის სამართლის პროცესში, მის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილისა და ყურადღების გამოჩენაა საჭირო, რამდენადაც მისი ფსიქიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. აქედან გამომდინარე, მოსამართლის მიერ სასჯელის შერჩევის ისედაც უზომოდ საპასუხიმსგებლო საქმეს ორმაგად საპასუხისმგებლოს ხდის შემთხვევები, როდესაც სასჯელის დამნაშავე არასრულწლოვანია.

ამკ-ს 75-ე მუხლის მიხედვით ''არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.'' აუცილებელია ამ პრინციპებისა და სასჯელის მიზნების გათვალისწინება მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნისას.

5.1 არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, როგორც ამომავალი ღირებულება სასჯელის განსაზღვრისას.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმთავრესი პრინციპი, ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მნიშვნელოვანი სიახლეა. ამკს-ს მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები არის არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითრების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლის შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება. მე-4 მუხლში კი ვკითხულობთ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის ან ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის ცნება ორ საკითხს აერთიანებს: კონტროლს და გამოსავლის ძიებას. კონტროლის კრიტერიუმი გულისხმობს ბავშვის უფლებებისა და მასთან მიმართებით არსებული ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელების უზრუნველყოფას. ხოლო გამოსავლის ძიების კრიტერიუმი - გადაწყვეტილების მიღების დროს ყველა

შესაძლო გამოსავალი იქნეს მოძიებული და შეფასებული ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, რაც ბავშვის კონკრეტულ ინტერესს განეკუთვნება.[66]

ბავშვთა უფლებების კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები უზრუნველყოფენ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვს არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას.[67]

და მაინც, რაში უნდა გამოიხატოს ეს განსხვავებული დამოკიდებულება? საქართველოს სისხლის სამართლის კოდქსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში ჩამოთვლილია ის ფაქტორები, რომელიც სასამრთლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნისას: ''სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლოს ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით - მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. ცხადია, ამ ყველაფერს სასამართლო არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისასაც გაითვალისწინებს, თუმცა ერთი დამატებითი ფაქტორით. და სწორედ ეს დამატებითი ფაქტორი ქმნის იმ განსხვავებულ მიდგომას, რასაც არაერთხელ გაესვა ხაზი. საუბარია ამკ-ს 75-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები ზოგადად უკვე მიმოვიხილეთ, თუმცა საინტერესოა, როგორ შეიძლება აისახოს იგი მოსამართლის მიერ სასჯელის შერჩევისას. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია კვლავ ამკ-ს დებულებები მოვიყვანოთ. მე-7 მუხლის მიხედვით, „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს შეესაბამებოდეს''. მე-14 მუხლის თანახმად კი, ''არასრულწლოვნის

[66] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 73-74.

[67] საქართველოს პარლამენტი, განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის, ''არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი'' პროექტზე.

მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათბლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითრების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.'' აღნიშნული ნორმები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია, ცალსახად გამოხატავს კანონმდებლის ნებას, აყალიბებს რა განსხვავებულ მიდგომებს არასრულწლოვანთა მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების შერჩევისას. თუ სრულწლოვნების შემთხვევაში ძირითადი აქცენტი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ობიექტურ მახასიათებლებზე კეთდება, აქ საქმე სხვანაირადაა. პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება ყოველთვის უნდა იყოს არა მარტო დანაშაულის ვითარებისა და სიმძიმის პროპორციული, არამედ ბავშვის ასაკის, ნაკლები ბრალეულობის, ბავშვის მდგომარეობისა და საჭიროების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა გრძელვადიანი საჭიროების პროპორციულიც. იმისათვის, რომ სასჯელი იყოს ბავშვის გარემოებების პროპორციული, სასჯელის შეფარდება ინდივიდუალიზებულად უნდა მოხდეს.[68] არასრულწლოვანთა დანაშაულის სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ მოსამართლემ თითოეული არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის გამოყენებისას მხედველობაში უნდა მიითოს მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, ჯეროვნად უნდა შეისწავლოს არასრულწლოვნის პიროვნება და მისი ფსიქოემოციური ფაქტორები. არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასჯელის მიზნების გათვალისწინება.[69]

როდესაც ვსაუბრობთ სასჯელის დანიშვნისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პირორიტეტულობაზე, იგულისხმება, რომ ეს ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული როგორც სასჯელის სახის, ასევე ზომის შერჩევისას. მაგალითად, თუ საუბარია საპატიმრო სასჯელის შეფარდებაზე, იგი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევაში, როგორც ერთადერთი და უკიდურესი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე. მისი გამოყენება შეიძლება როგორც ''Ultima Ratio'' - უკანასკნელი საშუალება - მხოლოდ მას შემდეგ, რაც სხვა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებმა, რომლებიც გატარდა არასრულწლოვნის მიმართ, რამე დადებითი შედეგი არ გამოიღო და არასრულწლოვანი კვლავ აგრძელებს დანაშაულის ჩადენას, ან ჩადენილი დანაშაულის მძიმე ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია, სხვა სასჯელის გამოყენება.[70] თუ არსებობს, თუნდაც სულ მცირე ალბათობა, რომ არასრულწლოვანი შეიძლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გარეშეც

[68] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 202.

[69] არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 173.

[70] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 151.

გამოსწორდეს, ეს ალტერნატიული სასჯელი აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ციხემ შეიძლება გამოუსწორებელი დაღი დაასვას არასრულწლოვანს.[71]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ სასამართლომ ნებისმიერ შემთხვევაში, სანამ დანიშნავს საპატიმრო სასჯელს, უნდა განიხილოს თითოეული უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უფრო მსუბუქი სასჯელების დანიშვნისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამკ გვთავაზობს არასაპატიმრო სასჯელთა შემდეგ ჩამონათვალს: ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

სასჯელის სახედ ჯარიმის შეფარდებისას, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, არასრლულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლის 1-ელ ნაწილში ვკითხულობთ, რომ ''არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. ეს გახლავთ კანონდებლის მიერ განსაზღვრული მინიმალური სტანდარტი, თუმცა თუ ამოვალთ არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებიდან, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ არასრულწლოვნის მიმართ ჯარიმის დანიშვნამ არ უნდა გამოიწვიოს მოზარდის ეკონომიკური მდგომარეობის ისე გაუარესება, რომ მან ჯარიმით მიყენებული ზარალი ''აინაზღაუროს'' სხვა უფრო საშიში დანაშაულის ჩადენით. ამ დროს საქმე გვექნება სასჯელის გამოყენების ისეთ შემთხვევებთან, რომლებიც მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენას შეუწყობს ხელს.[72]

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, ქართული კანონდებლობის ნოვაციაა. იგი საპატიმრო სასჯელის ჰუმანური და როგორც მსჯავრდებულის, ასევე სახელმწიფოსთვის უფრო მისაღები ალტერნატივაა. სასჯელის ამ სახის გამოყენებისას პირი მუშაობას ან სწავლას აგრძელებს და მატერიალურ სიკეთეს ან თავისი მომავალი ნაყოფიერი ცხოვრებისათვის ცოდნის ბაზისს ქმნის. ამგვარად, თავიდან იქნება აცილებული ''კრიმინალური დასნებოვნება''.[73] აქედან გამომდინარე, სასჯელის ეს სახე ხშირად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და კანონის უზენაესობის იდეას შორის ოქროს შუალედის ფუნქციას ასრულებს.

არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახეა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. როდესაც არასრულწლოვნის მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას. აღნიშნული სასჯელის უპირატესობა ის არის, რომ

---

[71] იქვე, გვ. 159.

[72] იოსებ ვარძელაშვილი , ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 203.

[73] ქეთევან მჭედლიშვილი - ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 62.

არასრულწლოვანი მსჯავრდებული არ იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და არ არის იზოლირებული საზოგადოებისგან, რაც მნიშვნელოვანია მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით.[74] იმის, რომ ამ სახის სასჯელის შერჩევა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს და მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას ემსახურებოდეს, ამკ-ს 71-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ. მე-3 ნაწილის თანახმად, ''არასრულწლოვანს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა უნდა დაენიშნოს ისე, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს'', მე-4 ნაწილში კი ვკითხულობთ, რომ ''საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს''.

სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას სწორედ მისი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება უნდა იყოს ამომავალი წერტილი ამ ჭრილში უნდა იყოს მიღებული ადეკვატური გადაწყვეტილებები. თუმცა, ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ გარდა სიფრთხილით შერჩეული სასჯელის სახისა და ზომისა, არასრულწლოვანს მისთვის გასაგებ ენაზე განემარტოს ყველა ის განსხვავებული გარემოება, რაც სასამართლომ გაითვალისწინა მასთან მიმართებით. თუ არასრულწლოვანი მიიღებს სრულ ინფორმაციას, თუ როგორ იმოქმედა სახელმწიფომ მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, თუ იგი იგრძნობს, რომ სახელმწიფო და საზოგადოება პრიორიტეტად მიიჩნევს არა მის დასჯას, არამედ მასზე ზრუნვას, არასრულწლოვანში ამაღლდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ პატივისცემის გრძნობა, რაც უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მისი რესოციალიზაციის კუთხით.

5.2 სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა არასრულწლოვანთა პროცესში.

სასჯელის მოძღვრებაში სასჯელის შეფარდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მისი სწორად შეფარდება პირდაპირ კავშირშია მსჯავრდებულის უფლებების დაცვასთან. შეფარდებული სასჯელის სამართლიანობა დამოკიდებულია როგორც კანონმდებელზე, ასევე მოსამართლეზე.[75] ამკ-ს 75-ე მუხლში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონმდებელმა მიუთითა მოსამართლეს, რომ მან არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს მისი საუკეთესო ინტერესები და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. ეს ორი ცნება ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო კავშირშია, რამდენადაც სწორედ ინდივიდუალურ ანგარიშში უნდა იყოს აღბეჭდილი ყველა ის ინფორმაცია,

[74] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 203.

[75] თემურ ცქიტიშვილი, სასჯელის შეფარდების საკითხისთვის, გურამ ნაჭყებია - 75, საუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ.122.

რისი გაცნობის შემდეგაც განისაზღვრება, თუ რა არის კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ. ამ ინსტიტუტის განვითარება და პრაქტიკაში გამოყენება კი - სათანადო უწყებების ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა.[76] ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამკ-ს მე-4 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება ხდება თითქმის ყველა ეტაპზე - ამკ-ში შეტანილი 2018 წლის ცვლილების მიხედვით მაშინაც კი, როცა საქმე აკმაყოფილებს განრიდების კრიტერიუმებს, თუმცა პროკურორი არ იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განრიდების შესახებ.

ამკს-ს მიღებამდე ჯერ კიდევ 5 წლით ადრე მისცა მსგავსი მოდელის შემოღების რეკომენდაცია წევრ სახელმწიფოებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, რომლის მიხედვითაც პრობაციის ორგანოების მუშაობა უნდა მოიცავდეს ასევე ინფორმაციისა და რჩევების მიწოდებას სასამართლო ორგანოებისთვის, რათა დაეხმაროს ინფორმირებული და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ან სასჯელის, ან სხვა ღონისძიების შეფასების თობაზე. ასეთ შემთხვევაში, პრობაციის ორგანოები რეგულარულად უნდა უკავშირდებოდნენ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს, სადაც ასეთი ანგარიში შესაძლებელია საჭირო იყოს. სასჯელის შეფარდებამდე მომზადებული ანგარიშები უნდა ეფუძნებოდეს პირველწყაროს და რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა იყოს გადამოწმებული.[77]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში პრინციპის დონეზეა გაწერილი ასაკს მიუღწეველი პირისადმი ინდივიდუალური მიდგომა, კერძოდ, მე-14 მუხლით, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათბლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითრების პირობები, განათლება, ჯანმრთლობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ინდივიდუალური მახასიათებლები გაითვალისწინება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე.[78] არასრულწლოვნის ინდივიდუალური მიდგომა პირველ რიგში გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს, არასრულწლოვნის ინდივიდუალური პრევენცია უნდა იქნეს გათვალისწინებული. მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ კონკრეტულ

[76] თამარ მახარობლიძე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 78.

[77] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ, პუნქტი 42-43.

[78] თამარ მახარობლიძე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 79.

ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს უნდა ეხებოდეს. [79] ამ მიდგომას უნდა მოერგოს ყველა ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ჩართულია ან რაიმე სახით კავშირშია სისხლის სამართლის სამართალწარმოებასთან. არასრულწლოვან პირთან ინდივიდუალური მოპყრობა სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა სასჯელის დანიშვნის ეტაპზე, სასჯელის სახისა და ზომის შერჩევის პროცესში, მისი მნიშვნელობა, ალბათ, ყველაზე მაღალია.

ამჟამად არსებული კანონდებლობა არასრულწლოვნებისთვის იძლევა იმის საშუალებას, რომ მომზადდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რაც სასამართლოს დაეხმარება სწორი სასჯელის განსაზღვრაში, ამიტომ იგი აუცილებლად უნდა გამოიყენებოდეს. მოსამართლემ უნდა იცოდეს არასრულწლოვნის შესახებ ყველა ის ინფორმაცია, რაც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშშია ასახული, კერძოდ, მისი განვითარების დონე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ამ ინფორმაციის გარეშე, ყოვლად წარმოუდგენელია არასრულწლოვნისთვის სწორი სასჯელის შეფარდება.[80] აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია ე.წ. პეკინის წესების მოთხოვნებთან, რომლის მე-16 წესის თანახმადაც ყველა შემთხვევაში, ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევების გამოკლებით, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც წინ უსწრებს განაჩენის გამოტანას, აუცილებელია გულდასმით იქნას შესწავლილი გარემო და პირობები, რომლებშიც ცხოვრობს არასრულწლოვანი, ან გარემოებები, რომლებშიც იყო ჩადენილი სამართალდარღვევა, იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს გონიერ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას. [81]

კონკრეტული საქმისადმი ინდივიდუალური მიდგომა არის ერთადერთი სამართლიანი პრინციპი, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს სასჯელის შერჩევისას. სწორედ ასე მიიღწევა სასჯელის ინდივიდუალიზაციის მაღალი ხარისხი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ არასრულწლოვნებში, ისევე როგორც საზოგადოების სხვა წევრებში, გაჩნდეს ნდობა სასამართლოსა და სამართალწარმოების სხვა ორგანოების მიმართ, რაც ცალსახად აამაღლებს სოციუმის თვითშეგნების ხარისხს.

---

[79] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 87.

[80] თამარ მახარობლიძე, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 83.

[81] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (''პეკინის წესები''), წესი 16.

6.არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნების უზრუნველყოფა მისი აღსრულების პროცესში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს მსოფლიოში, ის ეტაპობრივად განიცდის ცვლილებას და ვითარდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.[82] ბავშვთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს სასჯელის ის მიზნებიც, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოების მიერაა აღიარებული და რომელსაც უერთდება საქართველოც. თუმცა ერთი საკითხია სწორი მიზნების დასახვა, მეორე კი მათი მიღწევისთვის კონკრეტული ღონისძიებების გატარება. იმისათვის, რომ საუკეთსო ინტერესებზე დამყარებული ბავშვთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი მხოლოდ სიტყვებად არ დარჩეს, საჭიროა შესაბამისმა ორგანოებმა კონკრეტული ზომები მიიღონ.

განსაკუთრებით მნიშვნელობანია კანონის ზედმიწევნით შესრულება, როდესაც საქმე არასრულწლოვანთა მიმართ დანიშნული სასჯელის აღსრულების საკითხს ეხება. სასჯელის მიზნები განცორციელებას იწყებს სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის მიმართ მისი დანიშვნის მომენტიდან. სასჯელის აღსრულების დროს უნდა განხორციელდეს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.[83] ეს მოცემულობა, ცხადია, ეხება როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელებს.

6.1 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა განრიდება-მედიაციის პროცესში.

ადამიანთა უმრავლესობისთვის დანაშაულის ჩადენა და დასჯა ციხეში იზოლირებულად და არცთუ სახარბიელო პირობებში ყოფნასთან ასოცირდება. თუმცა, არასრულწლოვანთა დანაშაულის სანცქციონერების საერთაშორიო თუ ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს განვითრებისა და დახვეწის წყალობით, ყოველთვის ასე არ ხდება. სასჯელის ალტერნატივისა და ალტერნატიული სასჯელების მეშვეობით ადამიანმა, შესაძლოა, საკუთარი დანაშაულისთვის პასუხი სულ სხვაგვარად აგოს. ეს კი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვითაა შესაძლებელი.

ამკ-ს 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

---

[82] მაია (ზოია) ხასია, არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები 2017 N1, გვ. 128.

[83] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა - 2016, გვ. 210.

განრიდების მიზანია მოზარდი ააცდინოს მართლმსაჯულების სისტემას და მის მიმართ გამოიყენოს ინდივიდუალური პრევენციის ღონისძიებები. კრიმონოლოგიური თვალთახედვით, განრიდების თეორიული საფუძველია არასრულწლოვანთა დანაშაულობის თვისებურებები - არასრულწლოვანთა დანაშაულობის ნორმალურობა, ეპიზოდურობა და ყველა საზოგადოებაში გავრცელება.[84] განრიდების უპირველესი მიზანია მართლმსაჯულების სტიგმატიზაციისგან მოზარდის დაცვა, მოზარდის ნაკლები ემოციური დატვირთვა და კონფლიქტის სწრაფი მოგვარება.[85]

როგორც უკვე აღინიშნა, განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას უნდა უზრუნველყოფდეს. ამკ-ს 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია განრიდების, ან განრიდების და მედიაციის შესახებ. თუ დაზარალებული განაცხადებს თანხმობას მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, ამ შემთხვევაში ეწყობა მედიაციის კონფერენცია და ფორმდება განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულება.

უდავოა, რომ განრიდება, როგორც სასჯელის ალტერნატივა, თავისთავად წინგადადგმული ნაბიჯია არასრულწლოვნის რესოციალიზაციის კუთხით. ამის განმაპირობებელ ფაქტორებზე უკვე ვისაუბრეთ. თუმცა, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ იმ სიკეთეებზეც, რაც დამატებით მოაქვს მედიაციის პროცესს. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილეობენ არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი/საპროცესო წარმომადგენელი, პროკურორი, ადვოკატი, დაზარალებული, მედიატორი და სოციალური მუშაკი. მათი უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384-ის საფუძველზე. მედიაციის პროცესში ჩართული თითოეული მონაწილე ძალზედ მნიშვნელოვანია, თუმცა, ცხადია, ყველაფერი დამნაშვისა და დაზარალებულის ხელახალი შეხვედრის ირგვლივ ტრიალებს. არასრულწლოვანთა მიერ კანონის დარღვევის საფუძველი ხშირად ხდება ის, რომ ასაკისა და ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ცნობიერების გამო, ისინი სხვადასხვა მოვლენებს ცალმხრივად უყურებენ. მედიაციის ღონისძიებაზე, როდესაც არასრულწლოვანს თავად დაზარალებული ესაუბრება და უყვება იმ ზიანის შესახებ, რაც მას მიადგა, არასრულწლოვნის ფსიქიკაში ბევრი საკითხის მიმართ ახლებური აღქმა იბადება და მეტად გამგები ხდება. შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ ერთ-ერთი შემთხვევა: ტატომ ერთ-ერთი სუპერმარკეტიდან ტკბილეული და ენერგეტიკული სასმელები მოიპარა. ამ ფაქტის გამოვლენის, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვის შემდეგ მედიაციის კონფერენციაზე მას სწორედ იმ კონსულტანტთან

[84] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 94.
[85] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 94.

მოუწია შეხვედრა, რომელსაც ხელფასიდან მოპარული პროდუქტის ღირებულება ჩამოაჭრეს. როგორც მედიატორი თავის ანგარიშში წერს, მედიაციამ ძალიან ემოციურად ჩაიარა. ამის შემდეგ არასრულწლოვანს ხანდაზმულთა უფასო სასადილოში სხვების დახმარება დაევალა. ამასთან იმ მაღაზიაში, სადაც დანაშაული ჩაიდინა, მოხალისედ მუშაობდა და პერსონალს სხვადასხვა საქმიანობაში ეხმარებოდა.[86] აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შესაბამისმა ორგანომ არ დაიშუროს ძალისხმევა დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაში დათანხმებაზე.

აღსანიშნავია, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში საჭიროების შემთხვევაში ასევე შესაძლოა, ჩართული იყოს პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი, ფსიქიატრი და სხვა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ პირებმა (გარდა არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელისა), რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის ღონისძიების დაგეგმვისას, მედიატორმა გულდასმით გამოიკვლიოს თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტის მონაწილეობის საჭიროება და ასეთის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი მონაწილეობა, რათა ეს მექანიზმი კანონში ჩაწერილ ლამაზ სიტყვებად არ იქცეს.

6.2 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებისას.

სისხლის სამართალში საპატიმრო სასჯელის, როგორც მიზნის მიღწევის უკანასკნელი საშუალების შეფარდების პრინციპი მოქმედებს როგორც არასრულწლოვნებში, ისე სრულწლოვნებში. თუმცა, არასრულწლოვნების შემთხვევაში, მათი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკის გამო, გაცილებით მეტი გარემოებაა, რასაც მოსამართლე ითვალისწინებს, ვიდრე ამ სახის სასჯელს გამოიტანს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების შესაძლებლობა, რაც განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი რთულდება, თუკი საქმე გვექნება უამრავ ფორმალურ პროცედურასთან და, ბოლოს, საპატიმრო დაწესებულებაში გამწესებასთან. სწორედ ეს განსაზღვრავს არასაპატიმრო სასჯელთა პრიორიტეტულობას.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 66-ე მუხლში სასჯელთა ჩამონათვალს გვთავაზობს, სადაც სასჯელის ოთხი სახე არ ითვალისწინებს პატიმრობას. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასთან მიმართებით საქმიანობის უფლების ჩამორთმევისა და ჯარიმის განხილვა ნაკლებად რელევანტურია, რამდენადაც, ერთ შემთხვევაში გვაქვს სასჯელის სახე, რომელიც

[86] ქეთევან ღვედაშვილი, შრომა სასჯელის ნაცვლად, ჟურნალი ლიბერალი, 18 აპრილი, 2016.

სასამართლო პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება. ეს გამოწვეულია იმით, რომ არასრულწლოვნები არც ისე ხშირად არიან დასაქმებულები ოფიციალურ სამუშაოზე. მეორე შემთხვევაში კი, როდესაც ვსაუბრობთ ჯარიმაზე, გასათვალისწინებელია, რომ სასჯელის ეს სახე თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ მოიცავს ხანგრძლივ პროცესს. უკვე ვისაუბრეთ იმ ფაქტორებზე, რაც მოსამართლემ სასჯელის მიზნის მისაღწევად უნდა გაითვალისწინოს ჯარიმის შეფარდებისას, თუმცა უშუალოდ აღსრულების პროცესში ნაკლებად სავარაუდოა წარმოიშვას ისეთი პრობლემა, რომლის განხილვაც რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანთან მიმართებით რელევანტური იქნებოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კუთხით აქცენტი უნდა გაკეთდეს შინაპატიმრობისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულების პროცესზე.

შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლშია გათვალისწინებული. მისი ტექნიკური უზრუნველყოფა ელექტრონული ზედამხედველობის მეთოდით ხდება (ამკ-ს 69-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ამ ნორმის მიხედვით, შინაპატიმრობა დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში არასრულწლოვნისათვის მის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას გულისხმობს. კანონდებელი აქვე მიუთითებს, რომ სასჯელის ამ სახემ ანაზღაურებად სამუშაოს ან სწავლას ხელი არ უნდა შეუშალოს. როგორც ვხედავთ, კანონი არასრულწლოვანს საცხოვრებლის განსაზღვრული მიზნებისთვის დატოვების უფლებას აძლევს, ანუ ქართველმა კანონმდებელმა არასრულწლოვანთა მიმართ ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის მსუბუქი სახე, ''Home Detention'' ამოარჩია.[87] არასაპატიმრო სასჯელის ეს სახე ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანურია სასჯელთა შორის – თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების შეზღუდვისაგან განსხვავებით, კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი არასრულწლოვანი სასჯელს იხდის ოჯახში, მისთვის კარგად ნაცნობ გარემოში. ოჯახის წევრების გარემოცვაში სასჯელის მოხდა კი, მსჯავრდებულს უნარჩუნებს სოციალური ხასიათის ქცევებს, ასევე ეხმარება, თავი არ იგრძნოს გარიყულად, მიტოვებულად, მარტოსულად. მით უმეტეს, რომ სწორედ, ოჯახში უყალიბდება მოზარდს ზრდილობა, ზნეობა, ეტიკეტი და ქცევის კულტურა. სწორედ ამიტომ, უმჯობესია, არასრულწლოვანი არ მოშორდეს ოჯახს, რაც შეიძლება გახდეს წინაპირობა იმისა, რომ ახლობლების დახმარებით უკეთესად გაიაზროს წარსულში ჩადენილი ქმედება და საკუთარი თავი შეცვალოს უკეთესობისკენ. ამასთანავე, აუცილებელია მოხდეს ამკ-ს 69-ე მუხლის მე-4 ნაწილში განსაზღვრული პირობების სრულად გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. სწორედ განათლება და სწავლის

[87] ქეთევან მჭედლიშვილი - ჰედრიხი, შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2017, N1, გვ. 69.

პროცესი არის ის ფაქტორები, რამაც მაქსიმალურად უნდა შეამციროს არასრულწლოვანში დელიქვენტური ქცევის გამოვლინება.

ერთ-ერთი არასაპატიმრო სასჯელი, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ამკ-ს 71-ე მუხლშია გაწერილი. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეს და ყოველდღიურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. არასრულწლოვან მსჯავრდებულს განესაზღვრება იმ ტიპის სამუშაო, რაც ძალუცს მას ასაკის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.[88] ასევე გასათვალისწინებელია დამატებითი ფაქტორებიც. ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი შრომით პროცესშია ჩართული, მისი რესოციალიზაციის მხრივ უკვე თავისთავად წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ სასჯელის აღსრულებისას კი არასრულწლოვნისთვის ისეთი გარემო და პირობები უნდა შეირჩეს, რომელიც საზოგადოებისთვის წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარებს და გამოცდილებას მისცემს. სწორედ ეს მოთხოვნაა დაყენებული ამკ-ს 71-ე მუხლის მე-4 ნაწილში. ამასთანავე, აუცილებელია, რომ არასრულწლოვნის მიერ საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულების ან მასთან გათანაბრებული საქმიანობის პირობები შეესაბამებოდეს ქვეყნის კანონდებლობით დადგენილ ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტებს.[89] ამ სასჯელის დანიშვნისას და შრომის დეტალების განსაზღვრისას აუცილებელია, მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვანის პიროვნება და მისი ინდივიდუალური მახასიათებლები, რათა მაქსიმალურად ურუნველყოფილ იყოს სასჯელის მიზანი.

6.3 რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისათვის საჭირო პირობების შექმნა საპატიმრო დაწესებულებებში.

უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ პატიმრობა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთან მიმართებით მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნას შეფარდებული. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ კი ხელი უნდა შეუწყოს მათი უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას. პატიმრობის, უპირველეს ყოვლისა, არასრულწლოვნის მენტალური და ფიზიკური გაჯანსაღება უნდა იყოს.[90] სახელმწიფომ კი საპატიმრო დაწესებულებებში კონკრეტული პირობები უნდა შექმნას.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ამკ-ს 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც პატიმრობის ან თვისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დაუშვებელია არასრულწლოვნების სრულწლოვნებთან ერთად მოთავსება. ეს განპირობებულია იმით, რომ სრულწლოვნებთან შედარებით არასრულწლოვნების სასჯელის აღსრულება განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩევა.

---

[88] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 239.

[89] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2008) 11 წევრი სახელმწიფოსადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპული წესების შესახებ. 36.1.

[90] თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები, 1-ლი წესი.

არასრულწლოვანს პროცესის ყველა სტადიაზე უნდა ეპყრობოდნენ განსაკუთრებული ყურადღებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღბული მისი ასაკი და რესოციალიზაციის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, ასევე მისი ხელახალი აღზრდისთვის ხელის შეწყობის აუცილებლობა.[91]

ასევე მნიშვნელოვანია ამკ-ს 83-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები.

თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვისათვის გაერთიანებული ერების წესების თანახმად, არასრულწლოვნებს მაქსიმალურად უნდა მიეცეთ საკუთარი ტანსაცმლის გამოყენების უფლება, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების მესვეურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არასრულწლოვანს ჰქონდეს კლიმატის შესაფერისი და ჯანმრთელობის დასაცავად ადეკვატური პირადი ტანსაცმელი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი. ყოველ არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს დროის საკმარისი რაოდენობა ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე თავისუფალი ვარჯიშისათვის, სადაც ამინდი ამის საშუალებას იძლევა.[92]

ამკ-ს 87-ე მუხლში დეტალურადაა გაწერილი საპატიმრო სასჯელის მოხდის პერიოდში არასრულწლოვნის გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შესაძლებლობები. განსაზღვრულია როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივი პაემნების ლიმიტები. ასევე სატელეფონო საუბრის განხორციელების, ამანათების, გზავნილებისა და წერილების მიღებისა და გაგზავნის წესები. ეს კომპონენტი არასრულწლოვნის რესოციალიზაციის კუთხით ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რამდენადაც, როდესაც იგი ხვდება საპატიმრო დაწესებულებაში, მისი ცხოვრება რადიკალურად იცვლება. შესაბამისად, ყველა ხერხი უნდა იყოს გამოყენებული იმისათვის, რომ ეს ცვლილებები მის ფსიქიკაზე რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეულად აისახოს. უდავოდ პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის დათქმებიც, რაც წახალისების ფორმით გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ლიმიტების გაზრდას ითვალისწინებს. ეს რეგულაციები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნისთვის იძლევა დამატებით მოტივაციას, მოიქცნენ სანიმუშოდ, რაც ნებისყოფის და სხვა დადებითი თვისებების განვითარებასთან არის კავშირში. ეს კი, თავის მხრივ, რესოციალიზაციისკენ ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია.

არასრულწლოვანთა მიმართ დანიშნული საპატიმრო სახის სასჯელის აღსრულებისას ძალზედ მნიშვნელოვანია დაწესებულების ადმინისტრაციის როლი. დაწესებულების პერსონალი დიდ ყურადღებას უნდა იჩენდეს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ. დაუშვებელია არასრულწლოვნებთან არაჰუმანური და სასტიკი მოპყრობა, რაც ლახავს მათ უფლებებს, რადგან აღნიშნული კი არ

[91] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 210-211.
[92] თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები, 36-ე წესი.

გამოასწორებს არასრულწლოვანს, არამედ პირიქით, გაბოროტებულს დააბრუნებს საზოგადოებაში. იმისათვის, რომ რეალურად განხორციელდეს არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები, არასრულწლოვანთა მიმართ დანიშნული სასჯელის აღსრულება უნდა მოხდეს კანონდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.[93]

ასევე მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს მათ სტატუსთან დაკავშირებით არანაირი საფუძვლით არ შეიძლება უარი ეთქვათ სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე, რომლებიც ეროვნული კანონდებლობისა ან/და საერთაშორისო ხელშეკრულების დონეზე მათ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.[94]

სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ თავისუფლების აღკვეთის პერიოდში არასრულწლოვანმა შეძლოს განათლების მიღება. ამკ 84-ე მუხლი სავალდებულოდ აწესებს დაწყებითი და საბაზისო განათლების მიცემას. რაც შეეხება ზოგად განათლებას, მართალია, სავალდებული არ არის, თუმცა სავალდებულოა ამ პროცესის ხელმისაწვდომობა, რაც საპატიმრო დაწესებულებამ/არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს. ასევე ხაზგასმას იმსახურებს დათქმა, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული განათლების ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დატოვების შემდეგ მის დასაქმებას.

სხვადასხვა აქტივობების მნიშვნელობაზე ვკითხულობთ არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობას სპორტში აქტიური ჩართვით, არაფორმალური განათლებისა და პროფესიული (სახელობო) სწავლების უზრუნველყოფით, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი ღონიძიებების/აქტივობების განხორციელებით.[95]
არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში აუცილებელია მუდმივ შტატზე მუშაობდეს ან ხელშეკრულებით აყვანილი იყოს ფსიქოლოგი, რომლის საქმიანობაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა რეაბილიტაციას.[96]
და ბოლოს, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის დროს არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლება. რაც უფრო მეტ

[93] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 212.
[94] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 218.
[95] საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა, 2016.
[96] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი. გვ. 219.

წამახალისებელ ღონისძიებას გამოვიყენებთ არასრულწლოვნის მიმართ, აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას.[97]

6.4 სასჯელის აღსრულებისას სასჯელის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად არსებული მიდგომები საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მსგავსად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკისა, მსოფლიოში არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო პროგრამებიც მრავალი სახისაა. საინტერესო იქნება ისეთი შემთხვევების მიმოხილვა, როდესაც შერჩეულმა მიდგომებმა გაამართლა და დასახული მიზანი მეტწილად მიღწეულ იქნა. ამ შემთხვევაში საუბარი აღარ იქნება განათლების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, ფსიქოლოგთან ვიზიტისა და სხვა ისეთი აქტივობების შესახებ, რომელთა საჭიროებაზეც მთელი განვითარებული სამყარო შეთანხმებულია. საინტერესოა ისეთი შემთხვევების მიმოხილვა, რაც მეტნაკლებად გამოარჩევს სხვადასხვა ქვეყნებს.

დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში არასრულწლოვანთა საპატიმროები სამად იყოფა: ახალგაზრდა კანონდამრღვევთა დაწესებულებები, დაცული საწვრთნელი ცენტრები და დაცული საბავშვო სახლები.

პირველ მათგანში 15-დან 21 წლამდე პატიმრები იხდიან სასჯელს, თუმცა აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნები ცალკე შენობაში იმყოფებიან. ამ დაწესებულებას შესაძლოა ხელმძღვანელობდეს როგორც სასჯელაღსრულების ორგანო, ასევე კერძო კომპანიები. საშუალოდ, ამგვარ დაწესებულებებში 60-400 პატიმარია, რომლებიც კიდევ იყოფიან ჯგუფებად, რათა მათთან მუშაობა გაიოლდეს და დაწესებულება უკეთეს შედეგზე გავიდეს.

დაცულ საწვრთნელ ცენტრებს კერძო კომპანიები მართავენ. აქ 17 წლამდე არასრულწლოვნები იხდიან სასჯელს. თითო დაწესებულებაში მაქსიმუმ 80 ბავშვია, რომლებიც 5-8 კაციან ჯგუფებში არიან გადანაწილებულნი. მათ კვირაში 30-საათიანი სასწავლო და სავარჯიშო პროგრამა აქვთ გაწერილი, რომელიც მაქსიმალურად იდენტურია ჩვეულებრივ სკოლაში არსებული განრიგისა.

დაცული საბავშვო სახლები ადგილობრივი საბჭოების მიერ იმართება. აქ 10-14 წლის ბავშვები არიან და მათი რეჟიმი მსგავსია დაცული საწვრთნელი ცენტრებისა. განსხვავება გახლავთ ის, რომ ამ დაწესებულებაში მაქსიმუმ 40 ბავშვი შეიძლება იყოს.[98]

ასევე სამ ჯგუფად ყოფენ არასრულწლოვან პატიმრებს ავსტრალიაშიც, თუმცა აქ დაყოფის პრინციპი დამყარებულია არა ასაკზე, არამედ რისკის პრინციპზე. არასრულწლოვანი პატიმრები ნაწილდებიან დაბალ, საშუალო და მაღალი რისკის შემცველ ჯგუფებში. თუ პირისგან მომდინარეობს მძიმე ან მრავალჯერადი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, იგი ხვდებდა მაღალი რისკის ჯგუფში და მის

[97] იოსებ ვარძელაშვილი, ''სასჯელის მიზნები'', უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 212.
[98] დიდი ბრიტანეთის მთვრობის ოფიციალური ვებ-გვერდი.

მიმართ განხორციელებული სარეაბილიტაციო ღონისძიებებიც მეტი ინტენსივობით ხასიათდება.[99]

იტალიაში, როდესაც არასრულწლოვანს დაენიშნება არასაპატიმრო სასჯელი, მას განაწესებენ არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილ საპატიმრო დაწესებულებაში. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ისინი ამ დაწესებულებაში რჩებიან მას შემდეგაც, რაც სრულწლოვანებას მიაღწევენ. აღნიშნული პროცესი შესაძლებელია 21 წლამდე გაგრძელდეს. იტალიაში სულ 16 ასეთი დაწესებულებაა.[100] აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვნისთვის ისედაც მძიმეა საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნა. იგი დაპატიმრების შემდეგ სრულიად სხვა რეალობაში ინაცვლებს. სრულწლოვანების მიღწევისას მისთვის ადგილსამყოფელის შეცვლა და ახალ გარემოსთან შეგუება ზედმეტ პრობლემებს მოიტანდა და მისი რესოციალიზაციის პროცესს შეაფერხებდა.

2002 წლის აპრილში საფრანგეთში, ქალაქ ემენის არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულების ხელმძღვანელმა მიმართა სახალხო პროკურორს დაწესებულებაში პატიმართა მიერ გამოწვეული ზიანის ზრდის გამო. ეს მიმართვა გახდა საფუძველი მომავალში საკმაოდ წარმატებული პროგრამის შემუშვებისა. პროკურორი თავად ეწვია დაწესებულებას და თავდაპირველად გამოიკვლია, თუ რა იყო ზიანის პირველწყარო, ამ პროცესში ჩართულ არასრულწლოვნებთან რამდენიმე საათი დაჰყო და შემდეგ შესთვაზა პასუხისმგებლობის ალტერნატივა. მათ ციხის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პერსონალთან ერთად უნდა მიეღოთ მონაწილეობა სამუშოებში, სადაც შედიოდა დალაგება, იატაკის კეთილმოწყობა, კედლების შეღებვა და სხვა. ამ პროცესში, გარდა იმისა, რომ ხდებოდა დანაშაულის გამოსწორება, განსაკუთრებით გაესვა ხაზი არასრულწლოვნებისთვის იმის ჩანერგვას, რომ თავად იყვნენ პასუხისმგებლები იმ გარემოზე, სადაც იმყოფებოდნენ და ასე იქნებოდა მათი გათავისუფლების შემდეგაც. ამ აქტმა შედეგად გამოიღო ის, რომ დაწესებულებაში დისციპლინური გადაცომები 75%-ით შემცრიდა, არასრულწლოვნებმა კი საკუთარი ინიციატივით მოინდომეს აქტივობების გაგრძელება. ადმინისტრაციამ ამის შემდეგ კიდევ ერთხელ წაახალისა პატიმრები, მისცა უფლება მოეხატათ აქტივობების ოთახი, მათ დასახმარებლად კი ვიზუალური ხელოვნების სპეციალისტი მოიწვია.[101]

არავისთვისაა უცნობი ნოვრეგიის პენიტენციური სისტემის შესახებ. ამ ქვეყანაში მყოფი პატიმრები სასჯელს იდეალურ პირობებში იხდიან. გამონაკლისი არც არასრულწლოვანი პატიმრები არიან. შედარებით მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდებულები აქ ღია დაწესებულებებში, მინიმალური კონტროლის ქვეშ არიან. შესაბამისად, მათ მეტი თავისუფლება აქვთ. შედარებით მძიმე დანაშაულის ჩამდენებს ათავსებენ დახურულ დაწესებულებებში, თუმცა იქაც მრავალი ღონისძიება ტარდება, რათა საპატიმრო არასრულწლოვნისათვის გამოსასწორებელ

[99] ავსტრალიის კრიმინოლოგიის სამთავრობო ინსტიტუტის ოფიციალური ვებ-გვერდი.
[100] Best Practices Handbook on Rehabilitation of Juvenile Offenders and Victims, EURehabChildren 2014, გვ. 91.
[101] იქვე, გვ. 8.

ადგილად იქცეს და არა დასჯის საშუალებად. საპატიმროში ყველასთვის ხელმისაწვდომია განათლების, ასევე ნარკოდამოკიდებულებისა და ფსიქიკური პრობლემების მკურნალობის პროგრამები. მთავარი განსხვავება კი, რასაც ნორვეგიული მართლმსაჯულების სისტემა ითვალისწინებს და თითქმის არცერთ სხვა ქვეყანაში არ ვხვდებით, გახლავთ მიდგომა - ერთი საკანი ერთი პატიმრისთვის, რაც პატიმრის პერსონალურ უსაფრთხოებას მაქსიმალურად უზრუნველყოფს.[102]

[102] Manudeep Bhuller, Gordon Dahl, Katrine V. Løken, Magne Mogstad – Incarceration can be rehabilitative, VOX, CEPR Policy Portal, 24 მარტი, 2019.

7. არასრულწლოვნის გათავისუფლებისთვის მზადება, პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანზე ზრუნვა და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

სასჯელის აღსრულების შემდგომი ზრუნვა, ანუ როგორც იგი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2010) რეკომენდაციაში გათავისუფლების შემდგომ თანადგომად არის მოხსენიებული, ნიშნავს ''მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის პროცესს ნებაყოფლობით საწყისებზე და საბოლოოდ გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში დაბრუნებას კონსტრუქციული, დაგეგმილი და კონტროლირებადი სახით''.[103]

ევროპის იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის აღსრულების შემდომი მხარდაჭერის პროგრამები ხორციელდება, ამ ფუნქციას პრობაციის სამსახურები აღასრულებენ. საქართველომ ამ მხრივ დამატებითი სტრუქტურული ერთეული შექმნა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი _ დანაშაულის პრევენციის ცენტრი, რომლის ერთ-ერთ ფუნქციად ხსენებული უფლებამოსილების განხორციელება განისაზღვრა.[104]

ტერმინი სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს სამართალდამრღვევისთვის მხარდაჭერის გაწევას პატიმრობის შემდეგ საზოგადოებაში დაბრუნებისას. უფრო ფართო განმარტებით კი ის მოიცავს მთლიან პერიოდს სასამართლო დევნის დაწყებიდან საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგი პერიოდის ჩათვლით. იმ პირებისათვის, ვისაც თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, სოციალური რეაბილიტაცია უნდა დაიწყოს სასჯელის გამოტანის პირველი დღიდანვე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და გაგრძელდეს გათავისუფლების შემდგომი პერიოდის ჩათვლით.

თავისუფლების აღკვეთის დროს, ძირითადად გამოყოფენ რესოციალიზაციის პენიტენციურ და პოსტ-პენიტენციურ ეტაპებს. პოსტ-პენიტენციურ ეტაპს, პირის გათავისუფლების შემდეგ, რესოციალიზაცია სხვა კუთხით უნდა გაგრძელდეს. თუ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში რესოციალიზაცია გულისხმობდა დამნაშავის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებაზე უარის თქმასა და მისი თავისუფლებისათვის მომზადებას, აქ რესოციალიზაცია გვევლინება ადაპტირების სახით. შესაძლოა ეს იყოს ადაპტირება საზოგადოებასთან, განსხვავებული ცხოვრების რეჟიმთან, თავისუფლებასთან და ა.შ. პოსტ-პენიტენციურ ეტაპზე ყოფილი მსჯავრდებულისთვის სახელმწიფოს მიერ რესოციალიზაციაში ხელის შეწყობა აუცილებელია. სწორედ ამის გამოძახილია ამკ-ში 98-ე და 99-ე მუხლების არსებობა.

---

[103] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპის საბჭოს პრობაციის წესების შესახებ, ნაწილი I.

[104] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 253.

98-ე მუხლის მიხედვით საპატიმრო სასჯელის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ, მაგრამ გათავისუფლებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება ატყობინებს არასრულწლოვან მსჯავრდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლების მოახლოებულ თარიღს. აგრეთვე არასრულწლოვანს უზრუნველყოფს გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი სპეციალური პროგრამით. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში ამზადებს მისი სოციალური ჩართულობის საქმეს დანაშაულის პრევენციის ცენტრისათვის გადასაცემად, არასრულწლოვნის რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობისთვის. არასრულწლოვან მსჯავრდებულს მისთვის გასაგები ფორმით აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გზით შეუძლია მას გათავისუფლების შემდეგ შესაბამისი დახმარებისა და მხარდაჭერის მიღება.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია დანაშაულის პრევენციის ცენტრის როლიც. მათი წარმომადგენლების ვალდებულებები იმავე მუხლის მეორე ნაწილშია გაწერილი. ცენტრის წარმომადგენლები ჯერ კიდევ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ხვდებიან არასრულწლოვან მსჯავრდებულს მანამ, სანამ ის გათავისუფლდება. ამ შეხვედრის მიზანია გააცნონ მსჯავრდებულს გათავისუფლების შემდეგ მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის პირობები და საჭიროება. იმავდროულად, ისინი ეცნობიან არასრულწლოვნის სოციალური ჩართულობის საქმეს პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეტის დაწესებულებაში. ეს მნიშვნელოვანია, რომ შეძლებისდაგვარადუზრუნველყოფილი იყოს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაწყებული პროგრამების დასრულება და სრულყოფა.[105]

ამკ-ს 99-ე მუხლის მიხედვით პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანი, როგორც წესი, კანონიერ წარმომადგენელს ან/და, საჭიროების შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაეცემა. დანაშაულის პრევენციის ცენტრი კი კოორდინაციას უწევს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდიდან სულ მცირე 6 თვის განმავლობაში, რა დროშიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მის პრაქტიკულ და ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას.

[105] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, 2016, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, გვ. 253.

დასკვნა

ნაშრომში განხილული არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნებისა და მათი მნიშვნელობის, აგრეთვე ამ მიზნების მისაღწევად სისხლის სამართალწარმოებაში ან მასთან დაკავშირებულ პროცესებში განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვისას გამოიკვეთა გარკვეული გარემოებები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სასჯელის ერთ-ერთ მიზნად სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმა შემთხვევითი არ არის და იგი საზოგადოების გაჯანსაღებისკენ არის მიმართული. თუ სასწორის ერთ მხარეს დევს არასრულწლოვნის სოციალურად შემწყნარებელ პიროვნებად ჩამოყალიბება, რისი ცალკეული შემთხვევების ერთობლიობაც ჯამში საზოგადოების მომავალზე დადებითად იმოქმედებს, მეორე მხარეს კი სამართლიანობის აღდგენა, აქცენტი ყოველთვის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე უნდა გაკეთდეს.

ასევე არ არის შემთხვევითი მიზანთა ჩამონათვალში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პირველ დაგილზე დაყენება. მართალია, აღნიშნული მიზანი სასჯელის მიზნებს შორის სრულწლოვნებთან მიმართებითაც პრიორიტეტულია, თუმცა ნორმის სტრუქტურის ამგვარად განსაზღვრით, არასრულწლოვნებთან მიმართებით რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაესვა ხაზი.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის უმთავრესი მიზანია. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ცხოვრება არ სრულდება მათ მიერ კანონის დარღვევის მომენტიდან. სასჯელისა თუ მისი ალტერნატივის მოხდის შემდეგ ისინი კვლავ საზოგადოების წევრები ხდებიან, ამიტომ მათ მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შერჩევისას აუცილებელია მიზნად არა მათი დასჯა, არამედ მათი აღზრდა იქნას დასახული. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების სოციალიზაცია სახელწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს, რადგან მათი მომავალი ქვეყნის მომავალთან გადაჯაჭვულია და მათი ხელშეწყობით, ამ ადამიანებისთვის ახალი შესაძლებლობების მიცემით, არა მხოლოდ თავიდან აიცილებს ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს, არამედ შეიძენს ახალგაზრდებს, რომელთაც გააჩნიათ პოტენციალი, წარმატებული საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულფასოვნად იყვნენ ჩართულნი.

რაც შეეხება ხელახალი დანაშაულის პრევენციას და მის მისაღწევად არსებულ მიდგომებს, გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნებთან მიმართებით სახელმწიფომ შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა აირჩიოს მიდგომა ''არავითარი ჩარევა''. ასეთ ჩარევაში სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების კონტექსტში განხორციელებული ინტერვენციები იგულისხმება, რადგანაც როგორც ამ საკითხის ისტორიულ კონტექსტში განხილვისას გამოიკვეთა, რაც უფრო ინტენსიურად ერევა სახელმწიფო საკუთარი ფორმალური პროცედურებით არასრულწლოვნის ცხოვრებაში, მით უფრო ნაკლებად მიღწევადი ხდება თავდაპირველად დასახული ხელახალი დანაშაულის პრევენციის მიზანი.

პრევენციის სახეების განხილვისას გამოიკვეთა, რომ გენერალური პრევენციის ადგილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არ არის. ამკ-ს 65-ე მუხლში სასჯელის მიზნად მოცემული გვაქვს ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, რაც გულისხმობს სწორედ იმას, რომ სასჯელის ეს მიზანი მიმართულია იმ პირთა მიმართ, რომელთაც უკვე ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება და იგი ვერ გავრცელდება ყველა არასრულწლოვანზე.

რაც შეეხება სასჯელის მიზნების გათვალისწინებას არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის პროცესში. აქ უმნიშვნელოვანესია, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყოს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებით. ამ პროცესში კი მნიშვნელოვანი როლი აქვს თითოეული ბავშვის მიმართ მოსამართლის ინდივიდუალურ მიდგომას, რაშიც მას ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ეხმარება. ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ არასრულწლოვანმა მიიღოს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა სახელმწიფომ მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. თუ იგი იგრძნობს, რომ სახელმწიფო და საზოგადოება პრიორიტეტად მიიჩნევს არა მის დასჯას, არამედ მასზე ზრუნვასა და საზოგადოებაში წარმატებულ რეინტეგრაციას, არასრულწლოვანში ამაღლდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ პატივისცემის გრძნობა, რაც უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მისი რესოციალიზაციის კუთხით.

ასევე უმნიშვნელოვანესია უშუალოდ სასჯელისა და მისი ალტერნატიული ფორმის აღსრულების პროცესში განხორციელებული იქნეს იმგვარი ღონისძიებები, რომლებიც დასახული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. განრიდება-მედიაციის პროცესში ეს უნდა გამოიხატოს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაწეულ მაქსიმალურ ძალისხმევაში, დაიყოლიოს დაზარალებული მედიაციის ღონისძიებაში მონაწილეობაზე, რათა დაზარალებულთან პირისპირ შეხვედრითა და აზრთა გაცვლით დამნაშავემ სხვა მხრიდან შეხედოს საკუთარ ქმედებას, რაც პიროვნულ განვითარებაში დაეხმარება.

აგრეთვე, არასაპატიმრო სასჯელის შერჩევისას მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვანის პიროვნება და მისი ინდივიდუალური მახასიათებლები, რათა ამ სასჯელის აღსრულებისას მაქსიმალურად ურუნველყოფილი იყოს სასჯელის მიზანი.

რაც შეეხება საპატიმრო სასჯელის აღსრულებისას სასჯელის მიზნების მიღწევის ხელშეწყობას. პატიმრობა, როგორც სასჯელის სახე არასრულწლოვანთან მიმართებით მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნას შეფარდებული. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ კი ხელი უნდა შეუწყოს მათი უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას. პატიმრობის, უპირველეს ყოვლისა, არასრულწლოვნის მენტალური და ფიზიკური გაჯანსაღება უნდა იყოს. სახელმწიფომ კი საპატიმრო დაწესებულებებში კონკრეტული პირობები უნდა შექმნას. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების განხილვისას გამოიკვეთა ის მიდგომები, რაც კონკრეტული შედეგის მიღწევას უწყობს ხელს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საპატიმრო დაწესებულებისთვის შესაფერისი ადმინისტრაციისა და პერსონალის შერჩევა. ასევე, დაწესებულებაში ისეთი აქტივობების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების ფიზიკურ თუ გონებრივ

განვითარებას და რაც მთვარია, რაც შეიძლება ინტენსიური კონტაქტი გარესამყაროსთან, ცხადია იმგვარად, რომ არ დაირღვეს სასჯელის არსი.

და ბოლოს, უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული ზომები, რათა სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანი დაუბრუნდეს საზოგადოებას, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი. ამისათვის სახელმწიფომ მას ხელი უნდა გაუწოდოს სოციუმში ხელახალი ინტეგრაციის გზაზე.

ბიბლიოგრაფია

საკანონმდებლო აქტები

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მიმდ. რედაქცია)
- საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მიმდ. რედაქცია)
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 235, 2012 წლის 22 მარტი, თბ.
- საქართველოს პარლამენტი, განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის, ''არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი'' პროექტზე.

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე

1. 2015 წლის სისხლის სამართლის მაღლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია.
2. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2018.
3. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011.
4. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასება, კვლევის ანგარიში, 2014.
5. ***ბეკარია ჩ.,*** ''დანაშაულისა და სასჯელისთვის'', ი.ხუციშვილის თარგმანი იტალიურიდან, თბ., 2003.
6. ***ბიორგო ტ.,*** დანაშაულის პრევენცია ყოვლისმომცველი მიდგომა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2019
7. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი N1, თბ., 2016.
8. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, N2 თბ., 2016.
9. ***დვალიძე ი.,*** სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები.
10. ***ვაიკუნდი უ.,*** მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ., 2013.
11. ***ვაჩეიშვილი ა.,*** სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი. თბ., 1960.
12. ***ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი ნ., დოეკი იააპ ე., ცერმატენი ჟ.,*** ბავშვის უფლებები საერთაშორისო სასამართლოში, თბ., 2015.
13. ***ივანიძე მ., თოდუა ნ., ვარძელაშვილი ი., მახარობლიძე თ.,*** არასრულწლოვანთა კანონდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა.
14. ***ლომსაძე მ.,*** საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2012.
15. მართლმსაჯულება და კანონი N4, თბ., 2014.
16. სასჯელის შეფარდების საკითხისთვის, გურამ ნაჭყებია - 75, საუბილეო კრებული, თბ, 2016.

17. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა, 2016.
18. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბ, 2017.
19. ***ტურავა მ.,*** სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2010.
20. ***შალიკაშვილი მ.,*** კრიმინოლოგია, თბ., 2010.
21. ***შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.,*** არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.
22. ***ვარძელაშვილი ი.,*** ''სასჯელის მიზნები'', თბ., 2016.

საერთაშორისო საკანონდებლო აქტები

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (''პეკინის წესები'').
- თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები (''ჰავანას წესები'').
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2008) 11 წევრი სახელმწიფოსადმი სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ევროპული წესების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა უცხოურ ენაზე

1. ***Blei H.***, Strafrecht, Allgemeiner Teil, München, 1983.
2. ***Никифоров Б. С.,*** Наказание и его цели, Сов. Государство и право, М. 1981, с. 9, Похмельник В. В. – Социальная справедливость и уголовная ответственность, Красноярск, 1987, с. 7 62; Ширяев В. Ф. – Наказание в системе мер уголовно-правового воздействия содержание, проблемы совершенствования дисс. канд. юрид. Наук, Ярослав, 2001.
3. ***Бакериа Ч.,*** О преступлениях и наказаниях, 1877.
4. ***Беляев Н.,*** Цели наказания и средства их достижения в НТУ, Л. 1963.
5. Why a separate juvenile justice system?, chapter 11, SAGE Publications, 2017.
6. ***Rev. U. L.,*** Rehabilitation vs. Punishment: A Comparative Analysis of the Juvenile Justice Systems in Massachusetts and New York, 1987.
7. ***Day K. J.,*** Juvenile Justice in Washington: A Punitive System in Need of Rehabilitation, Washington, 1992.
8. ***Carson D***, Delinquency and Crime Prevention, Oxford, 2017.

9. ***Головко Л.В.,*** Алтернативы уголовному преследованию в современном праве, Санкт-Петербург, 2002.
10. ***Petrosino A., Turpin-Petrosino C., Hollis-Peel M.E., Lavenberg J.G. ,*** ''Scared Straight'' and other juvenile awareness programs for preventing delinquency, 2013.
11. ***Clark L.C., Aziz D.W., and McKenzie D.L.,*** – Shock Incarceration in New York: Focus on Treatment, National Institute of Justice, 1994.
12. Internatinal Journal of Human Sciences, Vulume:9, Issue:1, 2012.
13. INTERNATIONAL JOURNAL OF HUMANITIES AND CULTURAL STUDIES ISSN 2356-5926, Special August, Issue 2016.
14. EURehabChildren , Best Practices Handbook on Rehabilitation of Juvenile Offenders and Victims, 2014.

ელექტრონული მასალები

- http://www.zis-online.com/dat/artikel/2014_12_871.pdf (უკ. შემოწმების თარიღი 12.07.2019)
- https://www.coe.int/en/web/commissioner/news-2012/-/asset_publisher/nutP1s2ONg0k/content/-the-united-kingdom-juvenile-justice-system-should-focus-more-on-rehabilitation-/pop_up?_101_INSTANCE_nutP1s2ONg0k_viewMode=print&_101_INSTANCE_nutP1s2ONg0k_languageId=en_GB (უკ. შემოწმების თარიღი 12.07.2019)
- https://www.uscourts.gov/sites/default/files/63_2_3_0.pdf (უკ. შემოწმების თარიღი 12.07.2019)
- https://www.argusleader.com/story/news/brandon/2018/03/20/purpose-juvenile-justice-system-rehabilitation/32993763/ (უკ. შემოწმების თარიღი 12.07.2019)
- https://www.ncjrs.gov/html/ojjdp/news_at_glance/234084/topstory.html (უკ. შემოწმების თარიღი 12.07.2019)
- http://liberali.ge/articles/view/22127/shroma-sasjelis-natsvlad (უკ. შემოწმების თარიღი 12.07.2019)
- https://www.gov.uk/young-people-in-custody/what-custody-is-like-for-young-people (უკ. შემოწმების თარიღი 12.07.2019)
- https://aic.gov.au/publications/tandi/tandi284 (უკ. შემოწმების თარიღი 12.07.2019)
- https://voxeu.org/article/incarceration-can-be-rehabilitative უკ. შემოწმების თარიღი 12.07.2019)